საქართველოს პარლამენტის 2021 წლის საშემოდგომო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმა

N	კანონპროექტის დასახელება	კანონპროექტის მომზადების აუცილებლობის დასაბუთება და კანონპროექტის მოკლე აღწერა	ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის მიღებისათვის აუცილებელი ფინანსური სახსრების შესახებ	თუ კანონპროექტი გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორემ მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან და ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, მითითება აღნიშნულის შესახებ

1.	**„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცემათ უფლება მათ მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები ჩაატარონ როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარებამდე, ისე მის შემდეგ. დაზუსტდება გარემოება, რომ მაგისტრანტობის კანდიდატი სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებს არა პროგრამულ მიმართულებაზე (როგორც მოქმედ რედაქციაშია), არამედ საგანმანათლებლო პროგრამაზე; უქმდება კანონის დანაწესი, რომელიც ითვალისწინებს მაგისტრანტობის კანდიდატისათვის, საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით გავლის შემთხვევაში, საერთო სამაგისტრო გამოცდის სერტიფიკატის გადაცემის ვალდებულებას. მაგისტრანტობის კანდიდატს ელექტრონულად აქვთ საკუთარი ქულის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვისაც ცნობილია საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგები. შესაბამისად, აღარ არსებობს დამატებით მაგისტრანტობის თითოეული კანდიდატისათვის სერტიფიკატის გადაცემის ინტერესი.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
2.	**„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** **და** **„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	**„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილება მიზნად ისახავს სპეციალური მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილი მოთხოვნების დაზუსტებას, რათა მეტ პირს, მიეცეს შესაძლებლობა გახდეს სპეციალური მასწავლებელი; ასევე მოქმედ სპეციალურ მასწავლებლებს, მიეცემათ საშუალება, სპეციალურ განათლებაში კომპეტენციები დაადასტურონ 2023 წლის 1 იანვრამდე, ხოლო 2018 წლის 10 აგვისტომდე დასაქმებული სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21[3] მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, აღიარებული იქნება სპეციალურ მასწავლებლად. კანონპროექტით ახლებურად ყალიბდება სპეციალური მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესზე გადასვლასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულება. ცვლილება ითვალისწინებს სპეციალურ მასწავლებლად საქმიანობის დაწყების სხვადასხვა გზებს, მათ შორის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, როგორც დასახელებული სტატუსის მოპოვების ერთ–ერთი წინაპირობის შემოღებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალური	კანონპროექტი გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გამოცდების საფასურები შედის შესაბამისი სსიპ-ის ბიუჯეტში. კანონპროექტი გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, თუმცა არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გამოყოფას. კანონპროექტი გავლენას იქონიებს ბიუჯეტის	არ გამომდინარეობს

		მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული მთელი რიგი რეგულაციების არარსებობის გამო, საჭიროა შესაბამისი დამატებები განხორციელდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რომლის მოწესრიგების სფეროშიც შედის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული საკითხები. წარმოდგენილი ცვლილება ეხმაურება გაეროს მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 24-ე მუხლს.	საშემოსავლო ნაწილზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საფასური შედის შესაბამისი სსიპ-ის ბიუჯეტში, გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.	
3.	**„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში არ არის გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სოციალური მუშაკის არსი, როლი, ფუნქციები და სოციალური მუშაობის მიზანი. ცვლილების შესაბამისად დარეგულირდება ზემოაღნიშნული საკითხი.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
4.	**„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	**უმაღლესი განათლების მიმართულებით ავტორიზაციის/აკრედიტაციის საკითხები** 2022 წლიდან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სისტემის ცვლილების და შესაბამისად, კლასტერული აკრედიტაციის იმპლემენტაციის მიზნით, მიზანშეწონილია ცვლილებების განხორციელება ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში და ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კლასტერული აკრედიტაციის (Cluster Accreditation) დანერგვის პირობებში, ერთი წლის განმავლობაში აკრედიტაციის პროცესში შეფასდებიან მხოლოდ კონკრეტული სფეროს პროგრამები. ა) იმისათვის, რომ სწორად დაინერგოს კლასტერული აკრედიტაციის სისტემა, აუცილებელია კანონით განიმარტოს თუ რას ნიშნავს საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი. ამასთან, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში უნდა დაზუსტდეს აკრედიტაციის დეფინიცია. ბ) მიზანშეწონილია, ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად დამატებით განისაზღვროს საზღვარგარეთ მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური შეფასების და მათი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის განხორციელება. გ) ცენტრს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის ფუნქციების განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გადასვლის შემდგომ, აღარ აქვს ვალდებულება საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაციის ვადის გასვლამდე 9 თვით ადრე აცნობოს ავტორიზაციის ვადის გასვლის შესახებ. დ) მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს, რომ ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებას 1 წლის განმავლობაში ეზღუდება საავტორიზაციო განაცხადის ცენტრში წარმოდგენა მხოლოდ იგივე სტატუსის მოპოვების მიზნებისთვის. ე) გამომდინარე იქიდან, რომ აკრედიტაციის გავლა უნდა გახდეს სავალდებულო ყველა სახისა და საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისთვის, კანონში მიზანშეწონილია დაზუსტდეს ჩანაწერი, რომელიც ეხება გრანტის გაცემას. ასევე უნდა დაზუსტდეს ყველა ის ჩანაწერი, რომელიც დააზუსტებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გავლის სავალდებულოობას. ვ) სწავლის სფეროების მიხედვით განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადების გადანაწილება 2022-2028 წლებზე. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადა ხანგრძლივდება 4 წლიდან 7 წლამდე. ყველა მოქმედ და ასევე ახალ საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაცია მიენიჭება 7 წლის ვადით. ზ) გახანგძლივდა პირობითი აკრედიტაციის მინიჭების ვადები და განისაზღვრა გონივრული მინიმალური და ზღვრული ვადა. აკრედიტაციის სტანდარტთან საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილობრივი შესაბამისობის შინაარსიდან		

		გამომდინარე, განისაზღვრა, რომ პირობითი აკრედიტაციის მინიმალური ვადაა 1 წელი და 6 თვე, ხოლო მაქსიმალური - 3 წელი. თ) მიზანშეწონილია დაზუსტდეს აკრედიტაციის, ასევე პირობით აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრმის აკრედიტაციის სტანდარტებით შეფასების პირობები. ი) მიზანშეწონილია, ავტორიზაციის წარმოების ვადის ანალოგიურად განისაზღვროს აკრედიტაციის წარმოების ვადა - დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობიდან 180 კალენდარული დღე. კ) ასევე, მიზანშეწონილია, რომ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოს ძირითად წევრებს დაემატონ მოწვეული წევრები როდესაც საბჭოს სხდომაზე იხილება მედიცინის პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან მედიცინის პროგრამის პირობების შემოწმების (მონიტორინგი) საკითხი.		
5.	**„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	**საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის საკითხები** ა) დიპლომების გათანაბრების მარეგულირებელი ნორმები ხარვეზის შემცველია, საერთოდ არ რეგულირდება 2006 და 2007 წლების ერთსაფეხურიანი 4-წლიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომების ბაკალავრის ან მაგისტრის დიპლომთან გათანაბრების საკითხი. ბ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-20 პუნქტიდან გამომდინარე, სახელმწიფო ცნობდა/ცნობს მხოლოდ აკრედიტებული ან 2010 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი ამ კანონის 66[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემულ დიპლომს. აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების თაობაზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ამზადებს უარყოფით გადაწყვეტილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ კურსდამთავრებულთა დიპლომებთან დაკავშირებით, რომლებმაც სტუდენტის სტატუსი მოიპოვეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ კანონის ამოქმედებამდე ლიცენზირებულ ან კანონით ლიცენზირებულად ჩათვლილ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე, ინსტიტუციური აკრედიტაციის ფარგლებში აკრედიტებულ ან აკრედიტებულად ჩათვლილ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, და ამავდროულად სწავლა დაასრულეს	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		არააკრედიტებულ რეჟიმში საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ინსტიტუციური აკრედიტაციის დაკარგვის/გაუვლელობის გამო.		
6.	**„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	**ვეტერინარის სერტიფიკატის საკითხი** ცვლილებით დარეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით ვეტერინარის სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების საკითხი.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
7.	**„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	**„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** კანონპროექტის მიღების მიზანია, ერთის მხრივ, ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, ხარისხის უზრუნველყოფის მოქნილი და ეფექტიანი გარე მექანიზმების დანერგვა და პრაქტიკაში გამოუყენებადი აკრედიტაციის მექანიზმის გაუქმებითა და მისი ნაწილობრივი ინტეგრირებით ავტორიზაციის ინსტიტუტში, ავტორიზაციის მექანიზმის გაუმჯობესება და პროცესის გამარტივება. მეორეს მხრივ, საზღვარგარეთ აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში აღიარების წესების უკეთ მოწესრიგება და აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული მოსწავლეების უფლებებისა და შესაძლებლობების გათანაბრება სხვა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ მოსწავლეებთან. **„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** კანონპროექტის მიღების მიზანია, ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, ხარისხის უზრუნველყოფის მოქნილი და ეფექტიანი გარე მექანიზმების დანერგვა და პრაქტიკაში გამოუყენებელი აკრედიტაციის მექანიზმის გაუქმებითა და მისი ნაწილობრივი ინტეგრირებით ავტორიზაციის ინსტიტუტში, ავტორიზაციის მექანიზმის გაუმჯობესება და პროცესის გამარტივება. ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების ახლებურად ჩამოყალიბება. **„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** კანონპროექტი მიზნად ისახავს „უმაღლესი განათლების შესახებ“	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		საქართველოს კანონის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. ავტორიზაციის მექანიზმის გაუმჯობესებისა და პროცესის გამარტივების მიზნით, მას შემდეგ რაც ძალაში შევა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტები, რომლითაც გაუქმდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია, აღნიშნული გამოიწვევს ცვლილების შეტანის აუცილებლობას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში.		
8.	**„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსების შესახებ ინფორმაციის დამუშავებისა და მომზადების პროცესში ემისი იყენებს არქივებში დაცულ საარქივო დოკუმენტაციას, რომელთა გარკვეული ნაწილი არ არის ხელმოწერილი უფლებამოსილი პირების მიერ, მაგრამ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს დაწესებულების სტატუსის განსაზღვრისათვის. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას არ შეუძლია ამ დოკუმენტის გამოყენება დაწესებულების სტატუსის განსაზღვრისათვის, ვინაიდან, იგი არ არის იურიდიული ძალის მქონე. ცვლილების შესაბამისად 2010 წლის პირველ სექტემბრამდე შექმნილი კანონმდებლობით დადგენილი წესის შეუსაბამოდ დამოწმებული ან დაუმოწმებელი, ყველა სახის საარქივო დოკუმენტაცია ჩაითვლება იურიდიული ძალის მქონედ.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
9.	**„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ტექნიკურად ხდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩანაცვლაება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემით, ვინაიდან, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს სრულად აწარმოებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ამასთან, მის ფუნქციას წარმოადგენს სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოსადგენი ანკეტა-კითხვარების ელექტრონული სისტემის შექმნის, ადმინისტრირების და დამოწმების უზრუნველყოფა, ასევე, მაგისტრატურის საფეხურზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან სპეციალურ ანკეტა-კითხვარებში ასახული ინფორმაციის გადამოწმებისა და მასზე შესაბამისი რეაგირების უზრუნველყოფა.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
10.	**„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს**	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით რეგისტრაციაში ატარებს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო	არ გამომდინარეობს

	კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, აგრეთვე, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს, ვინაიდან, აღნიშნული რეგისტრაცია არ იწვევს, უფლებამოსილების წარმოშობა/შეწყვეტას და აქვს მხოლოდ ინფორმაციის ასახვის ფუნქცია, წარმოდგენილი ცვლილებით გაუქმდება, მთელი რიგი ბიუროკრატიული ქმედებები.	ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	
11.	**„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს: ა) მასწავლებლობის მაძიებელს აღარ მოეთხოვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით. ბ) დამტკიცდება ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების პროფესიული სტანდარტები დარგის განვითარებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების შესაქმნელად. გ) კრიზისული სიტუაციების მართვის წესის დამტკიცებას, რომელიც განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში კრიზისული სიტუაციის მართვის პროცესში ჩართული სუბიექტების კოორდინირებულად მუშაობის პრინციპებს, პროცედურებსა და უფლებამოსილებებს. დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის (შემდგომში - სქემა) სახელწოდების შეცვლას მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესით, რომელიც გააერთიანებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პირობებს და დამტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ცვლილებით მასწავლებლისთვის „სქემაში ჩართვის“ ვალდებულება ჩანაცვლდება „მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესით“ გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელებით. ე) მოწვეულ მასწავლებლად ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირის პარალელურად (ალტერნატივად) ჩნდება სახელოვნებო ან სასპორტო ან ტექნოლოგიების მიმართულებით პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირის დასაქმების შესაძლებლობა შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის შემთხვევაში. ვ) შემცვლელი მასწავლებლის დეფინიციიდან აკადემიური ხარისხის მოთხოვნის ნაწილში ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხზე მითითების ამოღება და ხდება სახელოვნებო ან სასპორტო ან ტექნოლოგიების მიმართულებით პროფესიული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტზე მითითება ესთეტიკური აღზრდის, სასპორტო ან ტექნოლოგიების საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის შემთხვევაში. ზ) მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის წარმატებით გავლა იქნება მასწავლებლად გახდომის ერთ-ერთი წინაპირობა. აღნიშნული შეეხება ყველა მიმართულებით მაძიებლებს. თ) ზუსტდება საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლისათვის დადგენილი მოთხოვნები და სრულ ზოგად განათლებასთან ერთად მიეთითება, რომ სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი განათლებასთან ან სასპორტო პროფესიულ განათლებასთან და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლასთან ერთად ასევე ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ იმ საგნის გამოცდა, რომელსაც ასწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.		
12.	**„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო ცვლილება მიზნად ისახავს განსაზღვროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო სკოლის/საერთაშორისო სამაგისტრო- სადოქტორო სკოლის სახით შექმნილი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა და უმაღლესი განათლების საერთაშორისო სტანდარტის მიღწევის მიზნით.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

13.	**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** **და** **„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** კანონპროექტის მიზანია „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ ნორმების პრაქტიკაში აღსრულებისას გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება, კონკრეტული ნორმების შინაარსის დაზუსტება, გარკვეული მოთხოვნების დარღვევისთვის/ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობის დადგენა, ასევე, სხვა პრობლემური საკითხების მოწესრიგება. კერძოდ: 1. საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესრულების მდგომარეობის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება; 2. მოპოვებული თევზის და წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების ცოცხლად ამოღების შემთხვევაში მათი ბუნებრივ გარემოში დაბრუნების საკითხი; 3. იმ სამართლადარღვევების ადგილზე განხილვა და სამართალდამრღვევისთის სანქციის ადგილზე შეუფარდება, რომლებიც არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას; 4. ნებართვასთან შეუსაბამობით ან/და სათანადო ნებართვის გარეშე ნარჩენების იმპორტთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება; 5. ნიადაგის რეკულტივაცია/აღდგენასა და კონსერვაციასთან დაკავშირებული შესაბამისი ნორმების დაზუსტება. ასევე მოწესრიგდება საერთაშორისო წყლებში, საქართველოს დროშით მცურავი გემების მიერ არალეგალური, არადეკლარირებულ და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერისთვის პასუხისმგებლობის საკითხი. **„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** 1. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სათანადო ლიცენზიის გარეშე წიაღით სარგებლობისთვის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გარკვეულ შემთხვევებაში წიაღით სარგებლობას, ლიცენზიის გარეშე, ასევე ეწევიან იურიდიული პირებიც, საჭიროა, რომ მუხლში გაკეთდეს შესაბამისი დათქმა იურიდიული პირების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებითაც. 2. უკანონო თევზჭერის მასშტაბებიდან და გარემოსთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით	საკანონმდებლო პაკეტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას. ამასთან, იგი გარკვეულ გავლენას მოახდეს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან, ცვლილების პროექტით გათვალსწინებული ახალი სამართალდარღვევების თვის პასუხისმგებლობის სახით დაკისრებული ჯარიმები მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში.	არ გამომდინარეობს

		განხორციელებული თევზჭერა დაკვალიფიცირდეს დანაშაულად. მოქმედი კანონმდებლობით, ამგვარი ქმედება დანაშაულს წარმოადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ამ დარღვევისათვის ადმინისტრაციულად სახდელდადებულია ან თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვების შედეგად სახეზეა მნიშვნელოვანი ზიანი ან ამგვარი თევზჭერა ჩადენილია აკრძალულ დროს ან აკრძალულ ადგილას. ამგვარი წესი ვერ უზრუნველყოფს შემაკავებელ ეფექტს და გამომდინარე ქმედების სიმძიმიდან, საჭიროებს შესაბამისად გამკაცრებას.		
14.	**„თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია, კანონში თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის და თუშეთის ეროვნული პარკის დემარკაციის შედეგების ასახვა. დემარკაციის შედეგად მაღალი სიზუსტით განისაზღვრა ამ დაცული ტერიტორიების ფართობები, საზღვრის ზუსტი პერიმეტრი და კოორდინატები. დაცული ტერიტორიების საზღვრების გარეთ გამოტანილი იქნა დაცული ტერიტორიებისთვის არატიპიური ინფრასტრუქტურა (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტი, სასაფლაოები, სახელმიწფო და ადგილობრივი მინიშვნელობის გზები, საკულტო ნაგებობები, წყლის სათავე ნაგებობები და სხვა) და ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ტერიტორიები.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
15.	**„დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია, ალგეთის ეროვნული პარკის ბაზაზე შეიქმნას თრიალეთის ეროვნული პარკი, საიდანაც ნაწილი წარმოადგენს ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიას და დამატებით ეროვნული პარკის სტატუსი მიენიჭება მდინარეების - თეძამისა და კავთურას ხეობებს და თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობებს.	კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. 2022 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნას შესაბამისი თანხები, რაც საჭიროა ყოფილი ალგეთის ეროვნული პარკის	არ გამომდინარეობს

			ადმინისტრაციაში დამატებით თანამშრომლების ასაყვანად და მათი აღჭურვისთვის.	
16.	**„ტანასა და თეძამის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია, ახალი დაცული ტერიტორიების - ტანასა და თეძამის დაცული ლანდშაფტის და ტანას აღკვეთილის დაარსება და მათი მართვის და ფუნქციონირების სამართლებრივი საკითხების მოწესრიგება.	კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. 2022 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნას შესაბამისი თანხები, რაც საჭიროა დამატებით თანამშრომლების ასაყვანად და მათი აღჭურვისთვის.	არ გამომდინარეობს
17.	**„კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტი დაკავშირებულია ზუთხისებრთა სახეობების თევზების დაცვასთან. კოლხეთის ეროვნული პარკის ფართობი იზრდება 692,5 ჰექტარით და გახდება 45001 ჰექტარი (692,5 ჰა-დან სახმელეთო ფართობი გაიზრდება 195,5 ჰექტარით და გახდება 29 229 ჰა, ხოლო ზღვის აკვატორია გაიზრდება 497 ჰექტარით და გახდება - 15 772 ჰა).	კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. 2022 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნას შესაბამისი თანხები, რაც საჭიროა კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დამატებითი	არ გამომდინარეობს

			თანამშრომლებით (4) დასაკომპლექტებლად.	
18.	**„აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტით გათვალისწინებულია კანონის IV თავის (მარიკულტურა) 2022 წლის 31 დეკემბრამდე შეჩერება. შესაბამისად, გათვალისწინებულია ამ თავიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიერ საზღვაო წყლებში აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონის/ზონების, ასევე, აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონის მართვის გეგმის დამტკიცების ვადის გადაწევა 2022 წლის 31 დეკემბრამდე.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
19.	**„წყლის რესურსების მართვის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია, ევროპული სტანდარტების შესაბამისი, წყლის რესურსების მართვის ახალი საკანონდებლო ბაზის შექმნა. დღეისათვის ქვეყანაში წყლის რესურსებთის მართვის მარეგულირებელ ძირითად აქტს წარმოდგენს „წყლის შესახებ” საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 1997 წლის 16 ოქტომბერს, ემყარება წყლის რესურსების მართვის ძველ სისტემას და არ შეესაბამება თანამედროვე, ევროპულ მიდგომებს და სტანდარტებს. დღეისათვის წყლის რესურსების მართვა ხდება ცენტრალიზებულად და არა ამა თუ იმ წყლის ობიექტის გეოგრაფიულ საზღვრებში - მდინარის აუზის/სააუზო უბნის დონეზე, რაც შეუძლებელს ხდის წყლის რესურსების მდგრად გამოყენებას. ალტერნატივას წარმოადგენს სააუზო მართვის მოდელი, რომელიც გულისხმობს ინტეგრირებულ მიდგომას და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს წყლის რესურსების მდგრად გამოყენებას. აგრეთვე, სამართლებრივი რეგულირების მიღმა არის დარჩენილი წყლის რესურსების დაცვისა და წყლით რაციონალური სარგებლობის თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიც არის წყალსარგებლობის მთელი რიგი ფორმები (მათ შორის, ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღება), ჩამდინარე წყლებით წყლის ობიექტების დაბინძურება (წყალჩაშვება) და სხვ. კანონპროექტის მიზანია წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების შესაბამისად და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის, შიდა ზედაპირული წყლების, გარდამავალი წყლების, სანაპირო წყლების და მიწისქვეშა წყლების დაცვისა და მდგრადი გამოყენებისთვის ძირითადი	კანონპროექტის მიღება დაკავშირებული იქნება წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემის დანერგვისთვის, სპეციალური წყალსარგებლობის სანებართვო რეჟიმის შემოღებისთვის, ინსპექტირების გაძლიერებისთვის, წყლის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესებისთვის, წყლის გამოყენების აღრიცხვის სისტემის მოწესრიგებისთვის და სხვა ღონისძიებებისთვის საჭირო შესაბამისი	გამომდინარეობს

		საფუძვლების ჩამოყალიბება, წყლის რესურსების სფეროში შესაბამისი ევროდირექტიევის პრინციპების და მოთხოვნების შესაბამისად. კანონპროექტი, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, მომზადებულია ევროკავშირის შემდეგი აქტების მიხედვით: - 23/10/2000 წ. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/60/EC დირექტივა „წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისთვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ“, 2455/2001/EC გადაწყვეტილებით შეტანილი შესწორებების შესაბამისად. - დირექტივა N98/83/EC „ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ“, (EC) N1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. - დირექტივა N91/676/EEC „სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ“, (EC) N1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. - დირექტივა N91/271/EEC „ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ“, N98/15/EC დირექტივითა და N1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. - დირექტივა N2007/60/EC „წყალდიდობის რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ“.	ინსტიტუციური ცვლილებების გატარებისთვის (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების და უწყებების გაძლიერება) აუცილებელი ხარჯების გამოყოფასთან. ამასთან, მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების ამოქმედების შემდეგომ, საჭირო ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება ამ გეგმებით დადგენილი ღონისძიებების ხასიათსა და მასშტაბზე.	
20.	**„სამრეწველო ემისიების შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ქვეყანაში დღეს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გარემოს დამაბინძრებელი საწარმოებისთვის ინტეგრირებულ სანებართვო სისტემას. ამასთან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით და შესაბამისად, მისი სავალდებულოდ გადახედვის მექანიზმები არ არსებობს. ასევე, არ არსებობს ე.წ. „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების“ დანერგვის ვალდებულება და ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი კონკრეტული სტაციონარული წყაროებისთვის გაფრქვევის ზღვრული მნიშვნელობები. „ასოცირების შეთანხმებით“ გათვალისწინებულია ქვეყნის მიერ ინტეგრირებული სანებართვო სისტემის, „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის“ (BAT) და ემისიის ზღვრული მნიშვნელობების დაწესების ვალდებულება. ამასთან, „ასოცირების შეთანხმებით“ 2026 წლამდეა გაწერილი ვადები, როგორც ინტეგრირებული სანებართვო სისტემის, ასევე საუკეთესო	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას. ამასთან, კანონპროექტის ცალკეული დებულებების ამოქმედება (სხვადასხვა ვალდებლება	გამომდინარეობს

		ხელმისაწვდომი ტექნიკის (BAT) და ემისიის ზღვრული მნიშვნელობების დაწესებისთვის. კანონპროექტის მიზანია სამრეწველო საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში, წყალსა და მიწაში ემისიების პრევენცია, შემცირება და კონტროლი, ასევე ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია. კანონპროექტი ითვალისწინებს ობიექტების რეგულირების ინტეგრირებულ მიდგომას, რაც მოიცავს ემისიებს ჰაერში, წყალსა და ნიადაგში, ნარჩენების წარმოქმნას, ნედლეულის გამოყენებას, ენერგოეფექტურობას, ხმაურს, ავარიების პრევენციასა და ექსპლუატაციის ადგილის აღდგენას ობიექტის საბოლოო დახურვის შემდგომ. ამასთან ნებართვების გაცემა და ემისიის ზღვრული მნიშვნელობები ეფუძნება შეთანხმებულ დასკვნებს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ და ევროპის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ საუკეთესო ხელმისაწვდომი ხერხების სახელმძღვანელო დოკუმენტებს. შემოდის გარემოსდაცვითი შემოწმებების განსხვავებული სისტემა, რომლის მიხედვით, ობიექტების გარემოსდაცვითი რისკების შეფასების საფუძველზე უნდა განხორციელდეს ობიექტების სავალდებულო შემოწმების დანერგვა და იგი არ უნდა აღემატებოდეს 1 წელიწადს ყველაზე მაღალი რისკის მქონე ობიექტებისთვის და 3 წელიწადს - ყველაზე დაბალი რისკის მქონე ობიექტებისთვის. კანონპროექტი, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, მომზადდა „სამრეწველო ემისიების შესახებ“ 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივის შესაბამისად	ამოქმედდება სხვადასხვა დროს, ეტაპობრივად) გარკვეულ ფინანსურ გავლენას იქონიებს გარემოს დამაბინძურებელი შესაბამისი საქმიანობების განმახორციელებელი პირებზე, ვინაიდან მათ მოუწევთ საქმიანობის ადაპტირება ახალ მოთხოვნებთან/სტანდა რტებთან.	
21.	**„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტი შემუშავდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნისა და ევროპის ბუნების დაცვის პოლიტიკასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზების მიზნით. „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის კონკრეტული მიზნებია უზრუნველყოს: • ველური მცენარეებისა და გარეული ცხოველების სახეობების დაცვა და ხანგრძლივვადიანი შენარჩუნება; • ჰაბიტატების დაცვა და შენარჩუნება ზურმუხტის ქსელის განვითარებისა და საერთაშორისო ქსელებში ჩართული დაცული ტერიტორიების შექმნის გზით; • ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას აღნიშნულ სახეობებს;	კანონპროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულებისთვის საჭიროა განხორციელდეს ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სახეობებისა და რესურსების კვლევის მომსახურება; ბიომონიტორინგის სისტემის პროგრამული	გამომდინარეობს

		• გენეტიკურ რესურსებზე და მასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცოდნაზე ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილება; კანონპროექტი, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, მომზადდა ევროკავშირის შემდეგი დირექტივების შესაბამისად: - 92/43/EC „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფლორისა და ფაუნის შენარჩუნების შესახებ“. - 2009/147/EC „ფრინველთა კონსერვაციის შესახებ“.	უზრუნველყოფის შექმნა; ზურმუხტის ქსელის საიტების კვლევები და შესაბამისი მართვის გეგმების შედგენა; გარემოში მიმდინარე პროცესების ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება. აღნიშნული ღონისძიებებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი შეადგენს სავარაუდოდ 200 ათას ლარს, საიდანაც ერთჯერადი ხარჯი - ბიომონიტორინგის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისათვის არის სავარაუდოდ 50 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი 150 ათასი ლარი წარმოადგენს პროგრამის (310104) „ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებების“- ფარგლებში ყოველწლიურად დამატებით გასათვალისწინებელ რესურსს. მიუხედავად აღნიშნულისა,	

			კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან ფინანსური ასიგნებების მობილიზება სამინისტროს მიერ განხორციელდება მისთვის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებისა და ყოველწლიური ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონპროექტის მიღებიდან გამომდინარე წარმოშობილი მოცულობითი ვალდებულებების აღსრულებისთვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტისთვის საჭიროა დამატებითი ადამიანური რესურსების გამოყოფა სავარაუდოდ 2 ერთეულით, შესაბამისი	

			შრომის ანაზღაურებით, რომელიც ასევე განხორციელდება შიდა რესურსების მობილიზების ხარჯზე და იგი არ გამოიწვევს დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს.	

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

22.	**„ფოსტის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს განსახილველად უნდა წარუდგინოს „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი; გაეროს სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციის - მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) წევრობით და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) საქართველოს ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ფოსტის სფეროში ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან (1997 წლის 15 დეკემბრის N97/67/EC დირექტივა ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის განვითარების და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საერთო წესების შესახებ“; „2002 წლის 10 ივნისის N2002/39/EC დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა N97/67/EC დირექტივაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შემდგომ გახსნას კონკურენციისთვის“ და „2008 წლის 20 თებერვლის ევროპის პარლამენტის და საბჭოს N2008/6/EC დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა N97/67/EC დირექტივაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის სრულ ხელმისაწვდომობას“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა. საქართველოს AA/DCFTA ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, ევროკავშირის შემდეგ დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის განსახორციელებლად: N97/67/EC ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის განვითარების და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საერთო წესების შესახებ და მისი ცვლილებები - დირექტივა N2002/39/EC - ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შემდგომ გახსნას კონკურენციისთვი; დირექტივა N2008/6/EC, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის სრულ ხელმისაწვდომობა. კანონის პროექტი „ფოსტის შესახებ“ ადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფოსტის სფეროში საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს და ძირითად პრინციპებს; ფოსტის სფეროში საქმიანობისას პირთა თანასწორუფლებიანობას;	კანონპროექტით გათვალისწინებულია დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის მის მიერ უნივერსალური საფოსტო მომსახურების განხორციელებისას წარმოშობილი ხარჯის ანაზღაურება, თუკი იგი წარმოადგენს არასამართლიან ფინანსურ ტვირთს.	გამომდინარეობს

		მომხმარებელთა უფლებების დაცვას; უნივერსალური საფოსტო მომსახურების ეფექტური და მდგრადი მიწოდების უზრუნველყოფას, მისი საყოველთაოობის, საიმედოობის, თანაბარი წვდომის, არადისკრიმინაციულობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; საფოსტო მომსახურების გაწევისას და საფოსტო ქსელის ორგანიზებისას საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას; ქვეყნის ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილების ტრანზიტულად გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფას მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად; საფოსტო ქსელის მეშვეობით გაცვლილი მონაცემების და გზავნილის უსაფრთხოების და კონფიდენციალობის დაცვას; საფოსტო საშუალებებისა და მომსახურების მართვას საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს; საფოსტო საგადახდო ნიშნების გამოცემის რეგულირებას; მეწარმეობის, კონკურენციის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის და ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობას და სხვა.		
23.	**„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიღება განპირობებულია ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრებს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების XV-B დანართით გათვალისწინებულ დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით. კანონპროექტი განსაზღვრავს ევროპული რეგულაციების შესაბამისად ახალი მარეგულირებელი ზომების უზრუნველყოფისათვის საჯარო საკონსულტაციო პროცედურების დანერგვის საკითხებს; ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში ex ante (წინასწარ) რეგულაციას დაქვემდებარებული შესაბამისი პროდუქტისა და მომსახურების ბაზრების განსაზღვრის და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის გამოვლენის მიზნით ბაზრების ანალიზის და სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების საკითხებს; ავტორიზაციისა და ლიცენზირების, აგრეთვე ზოგადი ნებართვის, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ინდივიდუალური უფლებისა და სარგებლობის უფლებების რაოდენობის შეზღუდვის საკითხებს, ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებში პირადი ცხოვრების კონფიდენციალობის და პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებს, უნივერსალური მომსახურების ვალდებულებების შესახებ რეგულაციის დანერგვის, ხარჯთაღრიცხვის და დაფინანსების მექანიზმების განსაზღვრის ჩათვლით და მომხმარებელთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს, რადიოსიხშირული სპექტრის ჰარმონიზებული ხელმისაწვდომობისა და ეფექტიან გამოყენების საკითხებს და სხვა.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს

24.	**„ელექტრონული კომერციის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის თანახმად, დარეგულირდება, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ამ მომსახურების გამწევი და მიმღები პირების პასუხისმგებლობა, განისაზღვრება საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებების მიმწოდებლის, მიმღებისა და მომხმარებლის საქმიანობის პრინციპები, მათი უფლებები, მათ შორის, შუალედური მომსახურების მიმწოდებლებისათვის ზოგადი მონიტორინგის ვალდებულების დაწესების აკრძალვა, აგრეთვე ის პირობები, რომელთა შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში შუალედური მომსახურების მიმწოდებლებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა არაკანონიერი ინფორმაციის გატარებისთვის ან/და შენახვისთვის. კანონის პროექტის შემუშავება განპირობებულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) შუალედური მომსახურების მიმწოდებლების (ISP) უფლებებისა და ვალდებულებების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრის შესახებ, აგრეთვე მათთვის ზოგადი მონიტორინგის ვალდებულების დაწესების აკრძალვის შესახებ აღებული ვალდებულებით; „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორემ მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-4 კარის მე-6 თავი: “დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია“, მე-6 ნაწილი, მე-2 ქვენაწილი (129 – 133 მუხლები) ითვალისწინებს საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობის და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პირობების იმპლემენტირებას საქართველოს კანონმდებლობაში.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს
25.	**„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის**	საკანონმდებლო პაკეტის მომზადება განპირობებულია მიწისქვეშა გაზსაცავის მიმდინარე პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე. დღეის მდგომარეობით, კანონმდებლობით დარეგულირებულია მხოლოდ სალიცენზიო ბლოკის ფართობის ფარგლებში მოპოვებული ნავთობისა და გაზის შესანახი ინფრასტრუქტურის შესაბამის ბუნებრივ რეზერვუარში მოწყობის საკითხი. შესაბამისად, ინიციატივა მიზნად ისახავს სალიცენზიო ბლოკის ფართობს გარეთ მოპოვებული გაზის შესანახად განკუთვნილი მიწისქვეშა გაზსაცავის (რა დანიშნულებაც ექნება ზემოხსენებულ გაზსაცავის პროექტს) მშენებლობისა და ოპერირებისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	თაობაზე“, „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)			
26.	**„განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	ცვლილების შესაბამისად, განახლებადი ენერგიის ეროვნულ სამოქმედო გეგმას და ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმას (ეესგ-ს) ჩაანაცვლებს ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული გეგმა. აღნიშნული განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: ა) „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებულ ეროვნულ გეგმას, რაც გულისხმობს აღნიშნული გეგმის მომზადებას და დამტკიცებას; თავის მხრივ ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებულ ეროვნულ გეგმა, მოიცავს ხუთ მნიშვნელოვან მიმართულებას, მათ შორის განახლებადი ენერგიის განვითარების ხელშემწყობის პოლიტიკის განსახორციელებელ ღონისძიებებს და შესაბამის სამიზნე მაჩვენებელს. ასევე ენერგოეფექტურობის დანერგვის ხელმწყობი პოლიტიკს განმახორციელებელ ღონისძიებებს და შესაბამისს სამიზნე მაჩვენებლებს. რაც წარმოადგენს განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექუტორობის დამოუკიდებელი სამოქმედო გეგმების მთავარ არსს. შესაბამისად დუბლირებების თავიდან აცილების მიზნით ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების შესახებ დებულება ჩაანაცვლებს განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექურობის სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს შესაბამის კანონებში.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	განალებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონი მომზადდა ასოცირების შეთანხმების XXV დანართში მითითებული ეროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 23 აპრილის განახლებადი წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ 2009/28/EC დირექტივის, რომელისაც ცვლილებები შეაქვს და შესაბამისად აუქმებს 2001/77/EC და 2003/30/EC დირექტივებს, შესაბამისად. აღნიშნული დირექტივა კი გააუქმა 2018 წელის 11 დეკემბერს ევროპარლამენტისა და საბჭოს განახლებადი წყაროებიდან ენერგიის გამოყენების წახალისების შესახებ (EU) 2018/2001 დირექტივამ; რომელიც ადგენს ვალდებულებას განალებადი ენერგიის სამიზნე მაჩვენებლები 2030 წლისთვის და მიღწევის ღონისძიებები აღწერილი იყოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში. ,,ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონი მომზადდა ასოცირების შეთანხმების XXV დანართში მითითებული ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის ენერგოეფექტურობის შესახებ 2012/27/EU დირექტივის, რომელსაც ცვლილებები შეაქვს 2009/125/EC და 2010/30/EU დირექტივებში და ანაცვლებს 2004/8/EC და 2006/32/EC დირექტივებს. 2018 წელს აღნიშნულ დირექტივაში შესული ცვლილებების თანამად ენერგოეფექტურობის სამიზნე მაჩვენებლები 2030 წლისთვის და მათი მიღწევის ღონისძიებები აღწერილი უნდა იყოს იყოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში.აღნიშნულ დირექტივაში ცვლილებები გამოიწვია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის (EU) 2018/1999 რეგულაციამ ენერგეტიკული კავშირისა და კლიმატთან დააკვშირებული მოქმედების მართვის შესახებ, რომელსაც შესწორებები შეაქვს ევროპარლამენტისა და საბჭოს 663/2009 (EC) და 715/2009 (EC) რეგულაციებში, ევროპარლამენტისა და საბჭოს 94/22/EC, 98/70/EC, 2009/31/EC, 2009/73/EC, 2010/31/EU, 2012/27/EU და 2013/30/EU დირექტივებში, საბჭოს 2009/119/EC და (EU) 2015/652 დირექტივებში და რომლითაც უქმდება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 525/2013 რეგულაცია. ბ) ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებულ ეროვნული გეგმის შემუშავებას ითვალისწინებსევროკავშირის ზემოხსენებული 2018/1999 რეგულაციია: ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის (EU) 2018/1999 რეგულაცია ენერგეტიკული კავშირისა და კლიმატთან დააკვშირებული მოქმედების მართვის შესახებ, რომელსაც შესწორებები შეაქვს ევროპარლამენტისა და საბჭოს 663/2009 (EC)		

		და 715/2009 (EC) რეგულაციებში, ევროპარლამენტისა და საბჭოს 94/22/EC, 98/70/EC, 2009/31/EC, 2009/73/EC, 2010/31/EU, 2012/27/EU და 2013/30/EU დირექტივებში, საბჭოს 2009/119/EC და (EU) 2015/652 დირექტივებში და რომლითაც უქმდება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 525/2013 რეგულაცია, რომლის საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების შეთანხმებაში შეტანაზე მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. 2018/1999 რეგულაციის მე-3 თავი ადგენს ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული ეროვნული გეგმის მომზადების ვალდებულებას. ამავე რეგულაციის მიხედვით ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული ეროვნული გეგმმა უნდა მოიცავდეს განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმას და ენერგოეფექტურობის ეროვნული საქმედო გეგმას. გასათვალისწინებელია, რომ ენერგეტიკული გაერთიანების სივრცეშიც უკვე დაწყებულია შესაბამისი მოლაპარაკებები, აღნიშნული დირექტივებისა და რეგულაციის ტრანსპოზიციაზე. • 2018 წლისს 11 დეკემბერს ევროპარლამენტისა და საბჭოს განახლებადი წყაროებიდან ენერგიის გამოყენების წახალისების შესახებ (EU) 2018/2001 დირექტივა; • ენერგოეფექტურობის შესახებ 2012/27/EU დირექტივის, რომელსაც ცვლილებები შეაქვს 2009/125/EC და 2010/30/EU დირექტივებში და ანაცვლებს 2004/8/EC და 2006/32/EC დირექტივებს, განახლებული ვერსიია;ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის (EU) 2018/1999 რეგულაცია ენერგეტიკული კავშირისა და კლიმატის მოქმედების მართვის შესახებ, რომელსაც შესწორებები შეაქვს ევროპარლამენტისა და საბჭოს 663/2009 (EC) და 715/2009 (EC) რეგულაციებში, ევროპარლამენტისა და საბჭოს 94/22/EC, 98/70/EC, 2009/31/EC, 2009/73/EC, 2010/31/EU, 2012/27/EU და 2013/30/EU დირექტივებში, საბჭოს 2009/119/EC და (EU) 2015/652 დირექტივებში და რომლითაც უქმდება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 525/2013 რეგულაცია, აღნიშნულ საკითხზე მიღებულია ენერგეტიკული გაერთიანების რიგით მე-18 მინისტერიალის 2020 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის მე-11 მუნქტის თანახმად ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა გააგრძელონ მუშაობა 2030 წლის სამიზნე მაჩვენებლების დამტკიცებასა და სუფთა ენერგიის პაკეტის (მე-11 პუნქტი) საკითხებზე, რომელიც მოიცავს ზემოთ ხსენებულ დირექტივებსა და რეგულაციას.		

27.	**„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე, შესაბამისად მისი სიახლიდან და ასევე ზოგადად კაპიტალის ბაზრის სექტორში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე შესაძლოა საჭირო გახადოს აღნიშნულ კანონში ცვლილებების შეტანა.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
28.	**„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია კაპიტალის ბაზრის რეფორმიდან და ასევე 2020 წელს განხორციელებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდიანრე ცვლილებები.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
29.	**„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია კაპიტალის ბაზრის რეფორმიდან და საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის დაწყებიდან გამომდინარე ცვლილებები.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

30.	**„არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	2018 წელს მიღებულმა კანონმა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“, კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა შექმნა. თუმცა, ღირსეული პენსიის უზრუნველსაყოფად და მოსახლეობისათვის საპენსიო სქემაში მონაწილეობის უფრო მეტი მოქნილობისთვის აუცილებელია გაიმართოს „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ კანონიც. ეს უკანასკნელი (მსოფლიო ბანკის მიერ ე.წ. მესამე სვეტის კატეგორიის საპენსიო სქემა) ხელს შეუწყობს კერძო დაგროვებითი საპენსიო სქემების განვითარებას სავალდებულო დაგროვებითი პენსიის პარალელურად. ახალი კანონით მოხდება არსებული კანონის გაუქმება. ეს კანონი ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულებით უფრო დაახლოებს ასეთი სქემების რეგულირების მექანიზმებს ევროკავშირის სტანდარტებთან და გახდის მათ კიდევ უფრო მეტად დაცულს. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ამ ტიპის სქემებში ჩართულობა უმეტეს ქვეყანაში დაბალია ის თავისუფლებას აძლევს დასაქმებულებს, დამსაქმებლებსა და სადაზღვევო კომპანიებს დასაქმებულების კონკრეტული სეგმენტისათვის შექმნან (სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე) კონკურენტუნარიანი საპენსიო პროდუქტი. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო დაგროვებითი პენსიისა და ამ კანონის ამოქმედებით, კიდევ უფრო განვითარდება აქტივების მმართველების ინდუსტრია, რადგან სამართლებრივად თანაბარ პირობებში, მესამე პილარის სქემების კონკურენტული შეთავაზებები დაეყრდნობა აქტივების მმართველების განსაკუთრებულ შედეგებსა და უნარებს. 2003 წლის 3 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/41/EC დირექტივა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების საქმიანობებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ. ასოციერბის შეთანხმების დანართში აღნიშნული დირექტივა 2016 წელს ევროკავშირის მიერ ჩანაცვლებულ იქნა ახალი დირექტივით: 2016 წლის 14 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/2341 დირექტივა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების საქმიანობებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს
31.	**„იპოთეკით უზრუნველყოფილი საბანკო ობლიგაციების შესახებ“** (ახალი კანონპროექტი)	საქართველოში არ არსებობს სპეციალური საკანონმდებლო რეჟიმი, რომელიც დაარეგულირებდა უზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვებას. სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ტრადიციული სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები (გირავნობა, იპოთეკა), ამ თვალსაზრისით არ წარმოადგენს ოპტიმალურ და გამოსადეგ ინსტრუმენტს უზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისიისათვის, მათი (გირავნობისა და იპოთეკის) აქცესორული ბუნებისა და რეგისტრაციასთან	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით. კანონპროექტის საფუძველზე საქართველოში შესაძლებელი გახდება უზრუნველყოფილი ობლიგაციის სპეციალური სახის, ე.წ. Covered Bond-ის გამოშვება, რომელიც საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე კეთილსაიმედო საბანკო პროდუქტად ითვლება. Covered Bond-ების (იპოთეკური ობლიგაციების) უზრუნველყოფა ხდება კომერციული ბანკის კრედიტორული მოთხოვნებით (ძირითადად, იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხებით), რომლებიც კანონის ძალით გაიმიჯნება ბანკის სხვა აქტივებისგან და რომელთა იძულებით აღსასრულებლად მიქცევაც მხოლოდ ობლიგაციონერების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იქნება შესაძლებელი. პროექტის კანონად მიღება აგრეთვე კომერციულ ბანკს მისცემს წვდომას ალტერნატიულ ლიკვიდურ სახსრებზე, რომლებსაც იგი გამოიყენებს სესხების გასაცემად და სხვა ოპერაციების დასაფინანსებლად. კანონპროექტით, ასევე შესაძლებელი იქნება კომერციული ბანკების თანამონაწილეობით, მათი კუთვნილი კრედიტორული მოთხოვნების (სესხების) აკუმულირების საფუძველზე, იპოთეკური ობლიგაციების გამოშვება. ასეთ შემთხვევაში იპოთეკური ობლიგაციების ემიტენტი იქნება ერთ-ერთი კომერციული ბანკი (კანონპროექტის მიზნებისათვის, რეფინანსირების ბანკი), ხოლო მის მიერ გამოშვებული იპოთეკური ობლიგაციების უზრუნველყოფა განხორციელდება დანარჩენ კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხებით (რეფინანსირების ინსტრუმენტებით). თავის მხრივ, აღნიშნული შიდასაბანკო სესხები (რეფინანსირების ინსტრუმენტები) უზრუნველყოფილი იქნება იმ კომერციული ბანკების იპოთეკური სესხებით, რომლებსაც რეფინანსირების ბანკისგან ექნებათ დაფინანსება მიღებული.		
32.	**„დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან	„დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ კანონის პროექტი აყალიბებს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის ფლობის რეჟიმს. ამგვარი ფასიანი ქაღალდები არსებობს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩანაწერის სახით. კანონი ადგენს მხარეთა შორის ურთიერთობის პირობებს ამგვარი ფლობის რეჟიმში და ასევე შემოაქვს ანგარიშის მწარმოებელს ცნება. ძირითადი პრობლემა, რომლის მოგვარებასაც ეს კანონის პროექტი ცდილობს (პაკეტობრივად „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში ცვლილებასთან ერთად) არის მოაწესრიგოს ფასიანი ქაღალდების გამოშვების საკითხები ცენტრალურ დეპოზიტარში. კანონი ასევე ანსხვავებს რეგისტრირებულსა და დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდს და დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდს უწესებს უფრო მაღალ სამართლებრივ სტანდარტებს შენახვისათვის. კანონი ასევე ქმნის შესაბამის იერარქიას ფასიანი	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	ერთად)	ქაღალდის ფლობასთან დაკავშირებულ უფლებებზე. ეს კი თავის მხრივ ხელის შემწყობი იქნება ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული ტრანზაქციების კლირინგისა და ანგარიშსწორებისათვის.		
33.	**„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტი ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირობებით გამოცხადებული აუქციონის ფორმით პრივატიზების შემთხვევაში საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადების ახლებურად განსაზღვრას. კერძოდ, კანონის მოქმედი რედაქციით, აუქციონში გამარჯვებულმა აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასური, როგორც პირობებით, ისე უპირობოდ (მხოლოდ საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულებით) გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საინვესტიციო პირობებით პრივატიზების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის დადგენილი წესის მსგავსად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში, საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადა განისაზღვროს პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს მიერ და არ აღემატებოდეს აუქციონის ჩატარებიდან 2 წელს.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
34.	**„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე აუქციონის გამართვის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წესსა და ვადებს. ზოგადი წესის თანახმად, ლიცენზიის გამცემი აუქციონის გამართვამდე არაუგვიანეს 1 თვისა საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას აუქციონის გამოცხადების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის გამართვა ხდება სხვა ვებგვერდის საშუალებით, ლიცენზიის გამცემმა აუქციონის გამართვის თარიღამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა საკუთარ ვებგვერდზე უნდა გამოაქვეყნოს აღნიშნული ინფორმაცია. კანონით დადგენილია საგამონაკლისო რესურსები, რომელთა მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვადა შეადგენს 15 დღეს. კანონით დადგენილი, ზემოაღნიშნული ვადები არაოპტიმალურია აუქციონის გამოცხადებისათვის, ვინაიდან, უმეტეს შემთხვევაში, აუქციონის გამოცხადება ხდება დაინტერესებული პირის განაცხადის საფუძველზე და ლიცენზიის მაძიებლებს უწევთ გაუმართლებელი ლოდინი აუქციონის გამართვამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიზნესსექტორის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია აუქციონის გამართვის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების ვადების ოპტიმიზაცია, რათა ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		ჰქონდეს უფლება, ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის განსაზღვრული, შემცირებული ვადების პირობებში მოახდინოს აუქციონის გამართვა და დაინტერესებულ პირებს მიეცეს შესაძლებლობა, ოპტიმალურ ვადებში მიიღონ მონაწილეობა სასურველ აუქციონში. კანონპროექტის თანახმად, გამოქვეყნებისათვის განისაზღვრება არანაკლებ 10 დღიანი ვადა ყველა სახეობის რესურსისათვის. ამასთან, აუქციონის გამოცხადების თაობაზე ინფორმაცია პირდაპირ განთავსდება იმ ვებგვერდზე, რომლის საშუალებითაც გაიმართება აუქციონი და ამის შესახებ ლიცენზიის გამცემის ვებგვერდზე დამატებითი მითითების თაობაზე ვალდებულება აღარ იარსებებს. ამასთან, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, სხვა შემთხვევებთან ერთად, რომელიც კანონით არის განსაზღვრული, ლიცენზიის გამცემმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია შეიძლება პირდაპირი წესით გასცეს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოსაპოვებლად, წელიწადში არაუმეტეს 5 000 (ხუთი ათასი) კუბური მეტრის მოპოვების უფლებით. კანონპროექტი ითვალისწინებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირდაპირი წესით გაცემის შემთხვევაში განსაზღვრული, შემზღუდველი მოცულობის თაობაზე მითითების ამოღებას. გამომდინარე იქიდან, რომ საქმე ეხება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული არ დაწესდეს მოცულობის შეზღუდვა და მისი განსაზღვრა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლიცენზიის გამცემის მიერ.		
35.	**„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელი გადაიხდება ათვისების გეგმის შესაბამისად, იმის მიუხედავად ხორციელდება თუ არა მოპოვება. არსებული წესით, თუ ფაქტობრივად მოპოვებული მოცულობა აღემატება ათვისების გეგმით განსაზღვრულს, გადახდა ხდება ფაქტობრივად მოპოვებული მოცულობის შესაბამისად. ლიცენზიანტს შეუძლია, წლიურად მოიპოვოს ათვისების გეგმით განსაზღვრულზე მეტი მოცულობის წიაღისეული, თუმცა არ უნდა გადააჭარბოს ლიცენზიით განსაზღვრულ ჯამურ მოცულობას. თუ შემდგომში აღარ გააგრძელებს მოპოვებას ან ნაკლებს მოიპოვებს, მას მაინც უწევს ათვისების გეგმის მიხედვით გადახდა. საბოლოო ჯამში, ვიღებთ მდგომარეობას, როცა არ ხდება არც წინა პერიოდში გადახდილი მოსაკრებლის გაქვითვა და არც მიმდინარე პერიოდზე დარიცხვის შეჩერება, შესაბამისად ადგილი აქვს ე.წ. ორმაგ დაბეგვრას. პრობლემის მოგვარების	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		მიზნით დაგეგმილია ცვლილების განხორციელება ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონში და დაბეგვრის პრინციპის შეცვლა სასარგებლო წიაღისეულთან მიმართებაში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონი მიღებულია 2005 წელს და მას შემდეგ წიაღისეულით სარგებლობისათვის მოსაკრებლების გადახედვა პრაქტიკულად არ მომხდარა. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ამ სფეროში ითვალისწინებს 5 წელიწადში ერთხელ მოსაკრებლის გადახედვასა და მის შესაძლო ცვლილებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე ამ კუთხით ცვლილების განხორციელებას და განაკვეთების განახლებული რედაქციით ჩამოყალიბებას.		
36.	**„რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„რეგულირების საფასურის შესახებ'' საქართველოს კანონი ითვალისწინებს რეგულირების საფასურის ოდენობებს ბუნებრივი რესურსების გარკვეული სახეობებისათვის, ასევე თავად კანონი განსაზღვრავს რეგულირების საფასურის გადახდის წესს. კანონის დანართით განსაზღვრული ჩამონათვალი საჭიროებს გადახედვას და მასში გარკვეული სახეობების დამატებას. დანართით განსაზღვრულ ჩამონათვალში გარკვეულ სახეობათა დამატების საჭიროება განპირობებულია მათზე არსებული მოთხოვნის მაღალი კოეფიციენტით. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ჩამონათვალის გაფართოება და რეგულირების საფასურის განსაზღვრა მაღალი ეკონომიკური ღირებულების მქონე სხვა სასარგებლო წიაღისეულზეც.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
37.	**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია, გემების, ნავსადგურების, საკლასიფიკაციო საზოგადოებების მიერ საზღაო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის აღსრულების მექანიზმის დაწესება. კერძოდ, კანონპროექტით განისაზღვრება, საქართველოს მთავრობის დადგენილების „საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემებისა და საქართველოს ნავსადგურების უშიშროების წესის“ დამტკიცების შესახებ“ და „გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების“ დამტკიცების შესახებ სააგენტოს დირექტორის ბრძანებით გათვალსწინებული წესების დარღვევისთვის ჯარიმების ოდენობა. პროექტი ითვალისწინებს გემთმფლობელების და ნავსადგურების ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გემისა და ნავსადგურის უშიშროების და გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების დარღვევებზე.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		ასევე, პროექტი ითვალისწინებს ჯარიმებს, საქართველოს ნავსადგურების კომპლექსური შემოწმების შედეგად ნავსადგურების მიერ შეუსაბამოების დადგენილ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში. გემების ინსპექტირებასა და შემოწმებას საზღვაო კოდექსის შესაბამისად ახორციელებს აღიარებული ორგანიზაცია, რომელსაც უფლებამოსილების დელეგირებას უკეთებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო. ვინაიდან, არსებობს იმის რისკი, რომ აღაირებული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ინსპექტირება და შესაბამისად გაცემული სერტიფიკატი, შესაძლოა არ შეესაბამებოდეს რეალობას და აღნიშნულით ზიანი მიადგეს გემის, ნავსადგურის და ადამიანის უსაფრთხოებას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საქართველოში მოქმედი, სააგენტოს მიერ აღიარებული საკლასიფიკაციო საზოგადოებებისთვის დაწესდეს სანქციები. აღნიშნულის გათვალისიწნებით, შიდა ნაოსნობაში ჩართული საქართველოს გემების ინსპექტირებისა და შემოწმების განმახორციელებელი აღიარებული ორგანიზაციის მიერ უფლებამოსილების და ფუნქციონირების წესების დარღვევა გამოიწვევს აღიარებული ორგანიზაციის დაჯარიმებას.		
38.	**„მეზღვაურთა შრომის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიღება განპირობებულია, საქართველოში საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავ კომერციულ საქმიანობაში ჩართულ გემებზე მეზღვაურების დასაქმებისა და საქმიანობის წესების, ასევე, მეზღვაურთა დასაქმების სფეროში მოქმედი სამსახურების/გემთმფლობელის მიერ ნებისმიერი დროშით მცურავ გემზე საქართველოს მოქალაქე მეზღვაურთა დასაქმების უნიფიცირებულ სტანდარტებისა და წესების განსაზღვრას და საზღვაო შრომის 2006 წლის კონვენციის დებულებების ასახვას. კანონპროექტით, რეგულირდება მეზღვაურთა შრომით და სოციალურ პირობებთან დაკავშირებული საკითხები. ვინაიდან, საქართველო გეგმავს შეუერთდეს საზღვაო შრომის შესახებ საერთაშორისო კონვენციას, საქართველო იღებს ვალდებულებას მიიღოს ახალი კანონი, რომელიც დაარეგულირებს კონვენციიდან გამომდინარე მნიშვნელოვან საკითხებს. საქართველოს მიერ საზღვაო შრომის შესახებ კონვენციის რატიფიკაცია და მისი დებულებების კანონმდებლობაში ასახვა უმნიშვნელოვანესია, რადგან პირველ რიგში ეს გაუმჯობესებს ქართველი მეზღვაურების შრომით და სოციალურ სტატუსს და საქართველოს დროშას გახდის უფრო მიმზიდველს. საზღვაო შრომის კონვენციასთან დაკავშირებით რიგით მე-3 სპეციალური სამმხრივი კომიტეტის სხდომაზე (STC MLC) მხარეებმა (სახელმწიფოთა ჯგუფი, მეზღვაურები და	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს

		გემთმფლობელები) ერთხმად განაცხადეს, რომ MLC უკვე წარმოადგენს მეზღვაურთა შრომით უნივერსალურ სტანდარტს. ვინაიდან და რადგანაც MLC-ის უკვე 80-ზე მეტი წევრი სახელმწიფო ჰყავს, იმ ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებმა, რომლებიც არ არიან ჯერ კონვენციის წევრი სახელწმიფოები, MLC-ის წევრ სახელმწიფოს ნავსადგურში შესვლისას ვალდებულნი არიან აკმაყოფილებდნენ კონვენციის მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება გემის დაკავება MLC-ისთან შეუსაბამობების გამო. აქედან გამომიდნარე, ამ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველო გახდეს კონვენციის წევრი სახელმწიფო და მისი დებულებები იყოს ასახული საქართველოს კანონმდებლობაში. კანონპროექტის მიმზადება განაპირობა ასოცირების შეთანხმების XV-D დანართით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების აუცილებლობამ, კერძოდ, აღნიშნული დანართის თანახმად, საქართველოს ევალება შეასრულოს 1999 წლის 21 ივნისის საბჭოს 1999/63/EC დირექტივა, რომელიც ეხება "მეზღვაურთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ" შეთანხმებას, რომელიც გაფორმდა ევროპის გაერთიანების გემთმფლობელთა ასოციაციასა (ECSA) და ევროკავშირში ტრანსპორტის მუშაკთა გაერთიანებების ფედერაციას (FST) შორის – დანართი: "მეზღვაურთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ" ევროპული შეთანხმება და 1999 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/95/EC დირექტივა გაერთიანების ნავსადგურებში შემოსული გემების ბორტზე მეზღვაურთა სამუშაო საათებთან მიმართებით დებულებების ამოქმედების თაობაზე".		
39.	**„მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის ძირითადი არსია, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების გაცემა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე. საქართველოს საზღვაო სასწავლო დაწესებულებებში, დღეს არსებული რეგულაციების თანახმად, უფლება აქვთ ისწავლონ როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. საქართველოში 2020 წლიდან საზღვაო სასწავლებლებმა შემოიღეს ინგლისურენოვანი უმაღლესი სასწავლო პროგრამები, რომელებზეც დაშვების წინაპირობა წარმოადგენს არა ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის, არამედ ინგლისური ენის ცოდნა და, ვინაიდან ბევრი ქვეყნის წარმომდგენლისთვის ინგლისური მშობლიური ენაა, ისინი პირდაპირი კონკურენტები ხდებიან ქართველი მეზღვაურების, რომელთა სამუშაო ადგილების დაკარგვის საფრთხე რეალური ხდება.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		უცხო ქვეყნის მოქალაქეების ინტერესი პირველ რიგში უკავშირდება არა საქართველოში განათლების მიღებას, არამედ საქართველოს მიერ გაცემულ მეზღვაურთა სამუშაო დიპლომებს (კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი), რომელიც მათ საშუალებას აძლევს დასაქმდეს მსოფლიოში მცურავი ძირითადი სანაოსნო გემების 80%-ზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა წარმოდგენილი კანონპროექტი, რომლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაამთავრებს საქართველოს საზღვაო სასწავლებელს, ვალდებული იქნება კომპეტენციის სერტიფიკატი მიიღოს იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეს წარმოადგენს ის.		
40.	**„საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია საქართველოს ნავსადგურებში შეიქმნას საზღვაო ერთი ფანჯრის სისტემა საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კანონპროექტის მიღებით მოხდება საპორტო სექტორში ციფრული სამთავრობო სერვისების შეთავაზება, გემის გათავისუფლება ბიუროკრატიული ბარიერებისა და არასაჭირო დოკუმენტაციის დამუშავების პროცესისგან. კანონპროექტის მიღება განაპირობა ასოცირების შეთანხმების XV-D დანართით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების აუცილებლობამ, კერძოდ, აღნიშნული დანართის თანახმად, საქართველოს ევალება დანერგოს „2010 წლის 20 ოქტომბრის 2010/65/EU დირექტივა. რომელშიც შევიდა ცვლილებები 2019 წლის 20 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019/1239/EU რეგულაციით) ევროპული საზღვაო ერთი ფანჯრის გარემოს შექმნის შესახებ.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს
41.	**„მეთევზე-მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან	მსოფლიოში მეთევზე-მეზღვაურთა მომზადებისა და სერტიფიცირების საკითხები რეგულირდება საერთაშორისო სტანდარტების, კერძოდ კი, „მეზღვაურთა მომზადების, სერტიფიცირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ საერთაშორისო კონვენციის“ (STCW, 1978) აგრეთვე, „თევზსაჭერი გემების პერსონალის მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის მსოფლიო კონვენციის“ (STCW-F,1995) შესაბამისად. კანონპროექტის მიზანია მეთევზე-მეზღვაურთა სერტიფიცირების სისტემის სრულყოფა და კანონმდებლობის დახვეწა. მეზღვაურთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება გადამწყვეტ როლს ასრულებს საზღვაო უსაფრთხოების და საზღვაო გარემოს დაცვის საქმეში. ამდენად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მეზღვაურთა მომზადების მინიმალური დონე საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული სტანდარტების მიხედვით.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	ერთად)			
42.	**„საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა გამოიწვია ასოცირების შეთანხმებით აღებულმა ვალდებულებებმა, კერძოდ კი, ევროკავშირის 2008/68/EC და 2007/59/EC დირექტივების იმპლემენტაციის საჭიროებამ. ეს დირექტივები შეეხება სახიფათო ტვირთის შიდა ტრანსპორტირებასა და იმ მატარებლის მემანქანეთა სერტიფიცირებას, რომლებიც მართავენ ლოკომოტივებსა და მატარებლებს გაერთიანების სარკინიგზო სისტემაში. კანონპროექტის ინიცირება დაკავშირებულია საქართველოს რკინიგზის კოდექსში ცვლილებების შეტანასთან. აღნიშნული ცვლილებების მიზანია განისაზღვროს მემანქანეთა სერტიფიცირების საერთო წესები და პირობები, რომლებიც საქართველოს მასშტაბით რკინიგზის სისტემაში მართავენ ლოკომოტივ(ებ)სა და მატარებლებს. ასევე, კანონპროექტის თანახმად, კოდექსში შედის ცვლილებები სახიფათო ტვირთების შიდა, ეროვნულ დონეზე უსაფრთხოდ ტრანსპორტირების გარანტირებისთვის. ასევე იგეგმება თანმდევი კანონპროექტის წარდგენა, რომლითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება 106^1 მუხლი, რომლითაც ხდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგენა მატარებლის/ლოკომოტივის მემანქანის მართვის მოწმობის გაცემასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის. ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლს ემატება 11^1 ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრება 106^1 , მუხლით დადგენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე პასუხისმგებელი ორგანო. რკინიგზის კოდექსში შესატანი ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, რომლებიც ადგენენ მემანქანეთა სერტიფიცირების საერთო წესებსა და პირობებსა საჭირო გახდება შესაბამისი წესებისა და პირობების დარღვევის პრევენცია და აღმოფხვრა. წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება კანონის ეფექტურობა. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, საჭიროა განისაზღვროს მემანქანეთა სერტიფიცირების საერთო წესებისა და პირობების დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და დადგინდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე პასუხისმგებელი ორგანო. კანონპროექტის მიღება განპირობებულია იმით, რომ ის ადგენს ადმინისტრაციულ სასჯელს და ადმინისტრაციული დარღვევის ადმინისტრირების ორგანოს. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს

		მე-2 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად საჭიროა საკანონმდებლო აქტის მიღება. კანონპროექტის მიღებით ეფექტური გახდება საქართველოს სარკინიგზო კოდექსში შესატანი ნორმები, რომელთა მიხედვით დგინდება იმ მემანქანეთა სერტიფიცირების საერთო წესები და პირობები, რომლებიც საქართველოს მასშტაბით რკინიგზის სისტემაში მართავენ ლოკომოტივ(ებ)სა და მატარებლებს. კანონპროექტის მიღება განაპირობა ასოცირების შეთანხმების XXIV დანართით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების აუცილებლობამ, კერძოდ კი აღნიშნული დანართის თანახმად საქართველოს ევალება მოახდინოს ევროკავშირის 2008/68/EC და 2007/59/EC დირექტივების იმპლემენტირება.		
43.	**„საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიღება გამოწვეულია უმეტესწილად საჰაერო კოდექსში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობით. კოდექსი შეიცავს რიგ მოძველებული შინაარსის ნორმებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში აცდენილია რეალობას და ვეღარ პასუხობს თანამედროვე ავიაციის ტენდენციებს, საჭიროებს შეცვლას და ამასთან, ჰარმონიზებას და ადაპტირებას თანამედროვე საერთაშორისო კანონმდებლობასთან. კანონპროექტი, მათ შორის, ითვალისწინებს: 1. ცალკეულ ტერმინთა შინაარსობრივ კორექტირებას, აგრეთვე კოდექსის რეგულირების მიღმა დარჩენილი ტერმინების ამოღებას; 2. სავალდებულო შემოწმების შემოღებას ეკიპაჟის წევრის ალკოჰოლური სიმთვრალის ფაქტის დადგენის მიზნით (ალკოტესტის მეშვეობით); 3. ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტისა და ბორტკვების საწარმოს შეტანას სერტიფიცირებას დაქვემდებარებული ობიექტებისა და პერსონალის სიაში; 4. სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი ისეთი „მკვდარი ნორმების“ ამოღებას, რომლებიც ეხება საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულებას, ჩარტერულ მომსახურებასა და საავიაციო სამუშაოების შესრულების ხელშეკრულებას, აგრეთვე ფრენის მომსახურებისა და საავიაციო სამუშაოების ნიხრს. აღნიშნული საკითხები პრაქტიკაში რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და საჰაერო კოდექსით მათი რეგულირება საჭიროებას მოკლებულია; 5. საავიაციო სამუშაობის (სპეციალიზებული ექსპლუატაციის) განხორციელების პირობების დაზუსტებას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
44.	**„საქართველოს საგადასახადო**	საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო	არ გამომდინარეობს

	კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ნებისმიერი ინფორმაცია (გარდა ამავე მუხლის 1[1] ნაწილში აღნიშნული ინფორმაციისა) საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება. ამასთან, ხსენებული მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია შესაძლებელია გადაეცეს ამავე ნაწილით გათვალისწინებული უწყებებს. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შეუფერხებლად განხორციელებისათვის. ამასთან, ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საავტომობილო ტრანსპორტის დარგში სააგენტოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი კვოტების ფარგლებში გაცვლილი ხელშემკვრელი ქვეყნის ნებართვის საფუძველზე, რომელიც სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაიცემა საქართველოში რეგისტრირებულ გადამზიდველზე, ქართველი გადამზიდველი ახორციელებს საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვას, ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი კვოტების ფარგლებში გაცვლილი ქართული სანებართვო დოკუმენტი (რომელსაც უშუალოდ გადამზიდველზე გასცემს უცხო ქვეყნის შესაბამისი უწყება) კი უცხო ქვეყნის გადამზიდველს აძლევს უფლებას, განახორციელოს ორმხრივი საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვა ან ტრანზიტი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოსთვის, თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში შესაბამისი სტატისტიკური და ანალიტიკური მონაცემების დამუშავება/გამოყენების მიზნით, რაც აუცილებელია ხელშელმკვრელ ქვეყნებთან კვოტების განსაზღვრისთვის, მნიშვნელოვანია, ფლობდეს ინფორმაციას როგორც ქართველი, ისე უცხო ქვეყნის გადამზიდველის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის კვეთის თაობაზე (რაც საგადასახადო კანონმდებლობით წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას). კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომელსაც	ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	

		საგადასახადო ორგანომ, გამონაკლისის სახით შეუძლია გადასცეს ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია, დაემატება სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო. საგადასახო ორგანოდან შესაბამისი ინფორმაციის მიღება სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოსთვის გახდება ქმედითი ბერკეტი ეფექტიანად უზრუნველყოს საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ სათანადო ანალიტიკური/სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პირობებს საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.		
45.	**„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 31-ე პუნქტით განსაზღვრული ნებართვის - საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვაზე (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი კვოტების ზევით) შემოღების ძირითადი მიზანი იყო, უცხო ქვეყნის გადამზიდველს მისცემოდა საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტული ან მესამე ქვეყნის ნებართვით შემოსული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით უკანა გზაზე გაეტანა საქართველოდან ტვირთი ბიუჯეტის სასარგებლოდ გარკვეული გადასახადის საფასურად, რათა არ დარღვეულიყო საქართველოს გადამზიდველებთან ჯანსაღი კონკურენციის პირობები. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 500 ლარს. მოსაკრებლის აღნიშნული ოდენობა განისაზღვრა საბაზრო ურთიერთობიდან და იმ დროისათვის არსებული გადაზიდვების საშუალო მარჟიდან გამომდინარე. აღნიშნულმა გადასახადმა ბოლო დრომდე შეასრულა თავისი ფუნქცია, დადებითად იმოქმედა გადაზიდვების ბაზრის სტაბილურობაზე და საგრძნობლად შეავსო საქართველოს ბიუჯეტიც. თუმცა, ბოლო პერიოდში, 500 ლარის ოდენობის მოსაკრებელი აღარ არის საკმარისი ზემოთ მოყვანილი ფუნქციის შესანარჩუნებლად. წარმოიქმნა დისბალანსი გადაზიდვების რეალურ ღირებულებასა და ხსენებული ნებართვის საფასურს შორის, უცხო ქვეყნის გადამზიდველების სასარგებლოდ, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ გადამზიდველ კომპანიებში.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		ამასთან, მნიშვნელოვანია იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომ უცხო ქვეყნის გადამზიდველმა, აღნიშნული ნებართვის ადვილად ხელმისაწვდომობის პირობებში, რაც გულისხმობს დაბალ ფასს, გამარტივებულ გაცემას (არ მოითხოვება ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობის და ტექნიკური გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები) შესაძლოა აღარ აიღოს თავის ქვეყანაში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი კვოტების ფარგლებში გაცვლილი ქართული სანებართვო დოკუმენტი ე.წ. მესამე ქვეყნის ნებართვა, რომელიც აგრეთვე აძლევს მას საშუალებას დაიტვირთოს საქართველოს ტერიტორიაზე და გავიდეს მესამე ქვეყანაში. ამდენად, იქმნება ისეთი მოცემულობა, რომ უცხო ქვეყნის გადამზიდველის მიერ კვოტის ფარგლებში გაცვლილი მესამე ქვეყნის ნებართვის სრულად ათვისება არ ხდება „საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვაზე (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი კვოტების ზევით) ერთჯერადი ნებართვის“ გამოყენების ხარჯზე. აღნიშნული გარემოება კი წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს ხელშემკვრელ ქვეყნებთან ყოველი მომავალი წლისთვის კვოტის განსაზღვრის დროს, რადგან კვოტის განსაზღვრის (გაზრდის/შემცირების) საფუძველს ძირითადად, კვოტის ფარგლებში გაცვლილი ნებართვების ათვისების მაჩვენებელი წარმოადგენს. ამრიგად, კანონპროექტით ხდება საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვაზე (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი კვოტების ზევით) ერთჯერადი ნებართვის გაცემის მოსაკრებელის გაზრდა უცხო ქვეყნის გადამზიდველისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტით გათვალისწინებული სანებართვო მოსაკრებლის ოდენობის გაზრდით, ზემოაღნიშნული დისბალანსის აღმოფხვრის შედეგად შენარჩუნდება ჯანსაღი კონკურენტული გარემო და აგრეთვე, უცხოელ გადამზიდველთა საქართველოში განხორციელებული საქმიანობით გამოწვეული ინფრასტრუქტურისა და გარემოსათვის მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურება.		
46.	**„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში**	კანონპროექტი მნიშვნელოვან წილად მომზადებული იქნა სააგენტოს დონეზე ისეთი საკითხის მოსაწესრიგებლად, როგორიცაა - საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვის (რომელიც მიღებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ან/და პარტნიორ ქვეყნებთან	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების	არ გამომდინარეობს

	ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	შეთანხმებით დადგენილი კვოტების ფარგლებში) საქართველოში რეგისტრირებულ გადამზიდველზე გაცემა, რომელიც შეზღუდული რაოდენობის პირობებში საჭიროებს ნორმატიულ მოწესრიგებას. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით კანონის 5[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „დაუშვებელია ნებართვის გაცემაზე უარის თქმა გასაცემი ნებართვების რაოდენობის შეზღუდვის მოტივით, გარდა: ა) საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვისა (რომელიც მიღებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ან/და პარტნიორ ქვეყნებთან შეთანხმებით დადგენილი კვოტების ფარგლებში), რომელიც გაიცემა საქართველოში რეგისტრირებულ გადამზიდველზე. ამ ნებართვის გაცემის წესი მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ნორმატიული აქტით;“. გარდა ზემოაღნიშნული საკითხისა აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სატრანსპორტო ოპერაციების მნიშვნელოვანი ზრდიდან გამომდინარე, სახმელეთო ტრანსპორტის დარგის განვითარების, დარგში არსებულ საკითხებზე ოპერატიულად რეაგირების, პრობლემების ეფექტიანად გადაჭრის მიზნით, მნიშვნელოვანია სააგენტოს დირექტორს მიეცეს დარგის მარეგულირებელი ნორმატიულ აქტების გამოცემის უფლებამისილება. ასევე, მნიშვნელოვანია სააგენტოს დირექტორის ნორმატიული აქტის სახით მოწესრიგდეს სააგენტოში არსებული საკვალიფიკაციო ცენტრის მიერ წარმოებული სასწავლო პროცესი, რაც მოიცავს სწავლების ორგანიზაციულ საკითხებს, სასწავლო პროგრამების, სილაბუსების დამტკიცებას და ა.შ. კანონში გაჩნდება საკანონმდებლო საფუძველი იმისთვის, რომ სააგენტოს დირექტორს მიეცეს ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილება.	გამოყოფას.	
47.	**„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპული ეკონომიკური კომისიის ეგიდით შემუშავებულ, 1958 წლის 20 მარტს, ქ. ჟენევაში გაფორმებულ შეთანხმებას (შემდგომში - შეთანხმება) - „თვლიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის და იმ მოწყობილობების და ნაწილების საგნებისათვის, რომლებიც შესაძლებელია დაყენდეს ან/და გამოყენებულ იქნეს თვლიან სატრანსპორტო საშუალებებზე, ერთგვაროვანი ტექნიკური მიწერილობების მიღების და ამ მიწერილობების საფუძველზე გაცემული ოფიციალური დამტკიცების	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ურთიერთაღიარების პირობების შესახებ“ საქართველო მიუერთდა, საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 11 დეკემბერის დადგენილების საფუძველზე. შეთანხმების ქვეყანაში ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს მთავრობამ გამოსცა 2016 წლის 27 მაისის №944 განკარგულება, შეთანხმების საქართველოში იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვითაც პირველი რიგის ღონისძიებად განისაზღვრა აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტების მომზადება. შემუშავებულია კანონპროექტი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რითიც 1958 წლის შეთანხმების დანართებით განსაზღვრული რეგულაციების გამოყენებით და მათი პირობების დაცვით, შესაძლებელი იქნება თვლიანი სატრანსპორტო საშუალების, მოწყობილობის, ნაწილის, სისტემის, კომპონენტის და ცალკეული ტექნიკური ერთეულის წარმოება და მათი ხარისხის კონტროლი. სააგენტო, მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ხელს შეუწყობს ავტომობილებისა და მათი ნაწილების წარმოების შესახებ ნორმატიული ბაზის დანერგვას და შემდგომში ტიპის დამტკიცების პროცესის ადმინისტრირებას. კანონის ცვლილების პროექტის საფუძველზე, საერთაშორისო და რეგიონალური ავტომწარმოებლებისთვის, ჩამოყალიბდება საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს მათთვის ხელსაყრელი და კონკურენტუნარიანი გარემოს ეფექტურ ფუნქციონირებას წარმოების პროცესში და გაეროს წევრ სახელმწიფოებთან ეკონომიკური თანამშრომლობის პირობებში, უნიფიცირებული რეგულაციების გამოყენებით, შეამცირებს ბაზარზე პროდუქციის განთავსების ბარიერებს. მოცემული საკანონმდებლო ცვლილების გარეშე, შეუძლებელია შეთანხმებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებების და მათი შემადგენელი კომპონენტების წარმოების ყველა ეტაპზე. რაც გულისხმობს წარმოების პროცესის ადმინისტრირების მექანიზმის არ არსებობას, იმ კომპონენტების მიმართ, რომლებიც გავლენას ახდენენ სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოებაზე, გარემოს დაცვაზე, ენერგიის მოხმარებასა და ქურდობის საწინააღმდეგო ტექნოლოგიის გამართულ მოქმედებაზე.		

		პროექტის მიღება უზრუნველყოფს ავტომობილებისა და მათი ნაწილების წარმოების შესახებ საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის არარსებობასთან და სატრანსპორტო საშუალებების და მათი შემადგენელი კომპონენტების ტიპის დამტკიცების პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სირთულეების/პრობლემების გადაჭრას. კანონპროექტის შესაბამისად, ჩამოყალიბდება საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე სატრანსპორტო საშუალებების და მათი შემადგენელი კომპონენტების წარმოებას და ტიპის დამტკიცებას.		
48.	**„პროდუქტის უსაფთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კოდექსის IX თავი (აკრედიტაცია) შინაარსობრივად და ტერმინოლოგიურად მოძველებულია და აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, მათ შორის საერთაშორისო სტანდარტს - ისო/იეკ 17011:2017/2018. შესაბამისად, მიზანშეწონილია, განხორციელდეს კოდექსის აღნიშნული თავის გადახედვა და მისი შესაბამისობაში მოყვანა აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებულ სტანდარტებთან და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან როგორც ტერმინოლოგიურად, ასევე შინაარსობრივად, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ აკრედიტაციის ცენტრი წარმოადგენს ევროპული აკრედიტაციის სრულუფლებიან წევრს, რაც თავის მხრივ, გულისხმობს აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების ევროპული სტანდარტების შესაბამისად წარმართვას, რაც აღიარებულ უნდა იქნას EA-ს მხრიდან.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
49.	**„სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია სს ,,საპარტნიორო ფონდის“ რეფორმების აუცილებლობით. პროექტის მიღებით 2022 წლის დასაწყისიდან შესაძლებელი გახდება საქართველოს განვითარების ფონდის რეფორმირებული სახით და სრულყოფილად ამოქმედება.	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

50.	**„ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების მომზადების აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კანონის მე-11 მუხლით - „მისაღები/გამოსაცემი კანონქვემდებარე აქტები“ გათვალისწინებულ იყო ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ. ტექნიკური რეგლამენტები ეფუძნება ევროკავშირში მოქმედ შესაბამის რეგლამენტებს, ამასთან ისინი მიახლოებულია საქართველოს რეალობასთან. „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან, ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცებამდე განსაზღვრულ პერიოდში, ევროკავშირში მოხდა იმ ტექნიკური რეგლამენტების განახლება, ცვლილება და ზოგიერთის გაუქმებაც კი, რომლებსაც ქართული რეგლამენტები ეფუძნებოდა. გამომდინარე აქედან, აუცილებელი ხდება ევროკავშირის მიერ მიღებული ახალი რეგლამენტების თარგმნა და დასამტკიცებლად დამუშავება. აგრეთვე, ცვლილებით ტექნიკური რეგლამენტების აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ უნდა განისაზღვროს სსიპ ,,ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო“ და შესაბამისად უნდა გაიწეროს ამ ორგანოს უფლება-მოვალეობები. 2016 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველო გახდა „ენერგეტიკული გაერთიანების“ წევრი ქვეყანა. „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმის თანახმად, საქართველოსთვის, როგორც აღნიშნული გაერთიანების წევრი სახელმწიფოსთვის, სავალდებულო გახდა ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარებისა და პროდუქტის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის მითითების თაობაზე N2010/30/EU დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

51.	**„თავდაცვის კოდექსი“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	პროექტი მიზნად ისახავს თავდაცვის ძალების მართვის ორგანიზაციული საკითხების ხარისხის გაუმჯობესებას. თავდაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა (თავდაცვის სფეროს ორგანიზება, სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლა, სოციალური დაცვისა და სხვა თანმდევი საკითხები) დღეისათვის რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. შესაბამისად, არ არსებობს თავდაცვის სფეროს მარეგულირებელი ერთიანი, სისტემატიზებული სამართლებრივი აქტი. ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების უმრავლესობის მიღება/გამოცემა მოხდა 1997 წლიდან და შესაბამისად, ისინი ვეღარ პასუხობენ დღევანდელ რეალობასა და მოთხოვნებს, ხშირია ნორმათა დუბლირება. ამდენად, თავდაცვის კოდექსით მოწესრიგდება საკითხები, რომლებიც ამჟამად დარეგულირებულია სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით, აღმოიფხვრება ნორმათა დუბლირება და თავდაცვის სფეროში იარსებებს სისტემატიზებული საკანონმდებლო აქტი.	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
52.	**„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება სახელმწიფოს თავდაცვა, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განმახორციელებელი ორგანო თავდაცვის სფეროში. შესაბამისად, მის მიერ განხორციელებული ქმედებები პირდაპირ აისახება სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერეზე. პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება. ევროატლანტიკურ ალიანსში (NATO) ინტეგრაციის პროცესისათვის და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის აუცილებელია გარკვეული ქმედებების განხორციელება/ხელშეწყობა. ხელისშემწყობ ერთ-ერთ ფაქტორად განიხილება გარკვეული საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება. ამასთან, დამატებული ღირებულების გადასახადის	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		ჩათვლის უფლებით განთავისუფლება გამოიწვევს ფულადი სახსრების ეფექტიან გამოყენებას, საქართველოში სამხედრო-სამრეწველო კოპლექსის განვითარების ხელშეწყობასა და კონკურენციის გაზრდას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ინვესტორთა დაინტერესებას, დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას, საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ზრდას. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა აპრობირებული მეთოდია ისეთ მაღალგანვითარებულ და სამხედრო სიძლერით გამორჩეულ ქვეყნებში როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, შვედეთი, ლიეტუა, ფინეთი და ა.შ. ამდენად, მიზანშეწონილია, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნეს ცვლილება, რომლის თანახმად, დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლდება თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების უზრუნველსაყოფად და თავდაცვასთან საქართველოს მთავრობით დამტკიცებული ნუსხის მიხედვით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა. ასევე, დღგ-ისგან გათავისუფლდება აღნიშნული საქონლის იმპორტიც.		

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

53.	**„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო ცვლილებების მიზანია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით სანოტარო საქმიანობისათვის ერთმნიშვნელოვანი ზღვრული ასაკის განსაზღვრა, რაც სიცხადეს შეიტანს როგორც ნოტარიუსთა, ასევე, ნოტარიუსთა პალატის საქმიანობაში და, ზოგადად, სანოტარო საქმის ადმინისტრირებაში. ცვლილებების განხორციელების საჭიროებას განაპირობებს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული დათქმა ზღვრული ასაკის გაგრძელების თაობაზე. დღეისათვის ნოტარიუსის თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკია 65 წელი. იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილია, ნოტარიუსის განცხადებისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის დასაბუთებული რეკომენდაციის საფუძველზე, გაუგრძელოს მას უფლებამოსილების ვადა არაუმეტეს 5 წლით. თუმცა, კანონში არ არის განსაზღრული ის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც იღებს მინისტრი აღნიშნულ გადაწყვეტილებას. სხვადასხვა შემთხვევაში ასეთი მიდგომა შესაძლოა აღქმულ იქნეს სუბიექტურად. აღნიშნული დანაწესი არ ქმნის სამართლებრივ განსაზღვრულობას და არაპროგნოზირებად შედეგებთან შეიძლება იქნეს დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, დაწესდეს ერთიანი მიდგომა და ნოტარიუსის თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკი განისაზღვროს 70 წლით.	კანონპროექტების მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
54.	**„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო პაკეტით მოწესრიგდება იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის თანამშრომელთა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამისი კატეგორიის მოსამსახურეთა და სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრობაციის ოფიცერთათვის სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭებისა და მინიჭებული წოდებებიდან გამომდინარე შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საკითხები.	მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.	არ გამომდინარეობს

		გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაზე შესაბამის ნაწილში აღარ გავრცელდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, რაც შესაძლებელს გახდის ცალკეული საკითხების განსხვავებულად, ცალკე ნორმატიული აქტებით დარეგულირებას. მაგალითად, სხვა საგამოძიებო ფუნქციის მქონე უწყებების მოსამსახურეებისაგან განსხვავებით, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოსამასახურეთა შრომის ანაზღაურების დაანგარიშება ხორციელდება მათი სპეციალური წოდებებისა და წელთა ნამსახურობის დანამატების გათვალისწინების გარეშე, რაც თვისობრივად მსგავსი ფუნქციებისა და სტატუსის მქონე პირებს აყენებს არათანასწორ სამართლებრივ მდგომარეობაში. ამგვარი თანასწორობის მიღწევისათვის საჭიროა, რომ ცვლილება განხორციელდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში და შესაძლებელი გახდეს განსხვავებული შრომის ანაზღაურების წესის განსაზღვრა იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოსამსახურეთათვის. საკანონმდებლო პაკეტი, ასევე, მიზნად ისახავს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოსამსახურეთა უზრუნველყოფას ისეთი სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიით, როგორიც არის სახელმწიფო კომპენსაცია და რომლითაც სარგებლობენ სხვა უწყებების, მსგავსი ფუნქციის განმახორციელებელი დანაყოფების მოსამსახურეები. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი ცვლილების შეტანა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში.		
55.	**„პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო პაკეტის მიზანია იმ ხარვეზებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრა, რაც არსებობს პენიტენციური სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, პატიმრობის კოდექსში და სხვა აქტებში, საპროცესო კანონმდებლობის ჩათვლით. გარდა ამისა, საკანონმდებლო აქტებს შორის ცალკეული შეუსაბამობები და ხარვეზები გაჩნდა კანონმდებლობაში 2018 წლის 5 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით, სამინისტროების გაერთიანების შედეგად. საკანონმდებლო ცვლილებები შეეხება მსჯავრდებულთა მიმოწერასა და მათ მიერ სატელეფონო უფლებით სარგებლობასთან (იზრდება სატელეფონო საუბრის ლიმიტები), მსჯავრდებულთა დაქტილოსკოპირების წესებთან (დაგეგმილია ელექტრონული დაქტილოსკოპირების დანერგვა), სასამართლო განხილვაში მსჯავრდებულის დისტანციურ მონაწილეობასთან დაკავშირებულ და სხვა	კანონპროექტების მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		საკითხებს. საკანონმდებლო ცვლილებებმა ასევე უნდა გაითვალისწინოს ალტერნატიული სასჯელების უფრო ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა და მეტად მრავალფეროვანი გახადოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა წახალისების მექანიზმები. გარდა ამისა, პაკეტში აისახება ყველა ის საჭირო ცვლილება, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი ან/და მიმდინარე დავებიდან, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე ან პოტენციური დავებიდან.		
56.	**„ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიღების მიზანია „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანის ცნების განმარტებაში არსებული ხარვეზის გამოსწორების საჭიროება. „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ არსებული კანონის მე-9 მუხლი განსაზღვრავს „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანის“ ცნებას. ვეტერანის ერთ-ერთ კატეგორიას განეკუთვნებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები და მუშაკები, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილნი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები. აღნიშნული უწყებების ჩამონათვალი არ არის სრული, რომელთა მოსამსახურეებმა ფაქტობრივად მიიღეს მონაწილეობა 2008 წლის აგვისტოს თვეში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. კერძოდ, მოქმედი კანონის აღნიშნული ნორმის რედაქციიდან გამომდინარე, ვეტერანის სტატუსი ვერ მიენიჭებათ 2008 წლის მდგომარეობით იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოსამსახურეებს. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებად და მათთან გათანაბრებულ პირებად	კანონპროექტის მიღება იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის (2008 წ.) რამდენიმე ათეული მოსამსახურე/მათი ოჯახი მიიღებს საყოფაცხოვრებო სუბსიდიას 22/44 ლარის ოდენობით.	არ გამომდინარეობს

		ჩაითვლებიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოსამსახურეები, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილნი (გადამდგარნი).		
57.	**„საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ცვლილებების მომზადება განპირობებულია მოქმედ ნორმებში არსებული მოძველებული რეგულაციებით, რომლებიც დაკავშირებულია, მაგალითად, სახელმწიფო დროშის აღმართვის წესთან. ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, ასევე, სახელმწიფო ჯილდოების რაოდენობის გადასინჯვა, ვინაიდან, ჯილდოების არსებული (დიდი) რაოდენობა წინააღმდეგობაში მოდის თანამედროვე ჰერალდიკურ და ფალერისტიკულ ნორმებთან. ხსენებული მიდგომები საბჭოთა სამართლებრივი მემკვიდრეობის გადმონაშთად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, კანონით გათვალისწინებული ცალკეული სახელმწიფო ჯილდოების გამოყენების სფეროები ფარავს ერთმანეთს, შესაბამისად, საჭიროა საკანონმდებლო დონეზე მათი მკაფიო გამიჯვნა.	კანონპროექტების მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
58.	**„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 181-ე მუხლში საჭიროა გაჩნდეს ჩანაწერი, რომელიც შექმნის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გარეშე სტაციონარული ექსპერტიზის ჩატარების სამართლებრივ საფუძველს. მოქმედი რეგულაციით, თუ არსებობს განსარიდებელი პირის სტაციონარული ექსპერტიზის საჭიროება ფსიქიატრიულ საკითხებთან დაკავშირებით, არ არსებობს ასეთი ექსპერტიზის დანიშვნის სამართლებრივი საფუძველი ბრალის წაყენების გარეშე (მუხლი 181). მაგალითისათვის, თუ სოციალური მუშაკის მიერ შეფასების პროცესში გამოვლინდება ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სტაციონარული ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება, დაწყებული განრიდების პროცესი უნდა შეწყდეს და დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა,	კანონპროექტების მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		რაც ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. არსებული მიდგომის შესაცვლელად საჭიროა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.		
59.	**„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 39-ე მუხლი საჭიროებს ცვლილებას, რომლითაც პრაქტიკოს პროკურორებზე გავრცელებადი წესი უნდა დამტკიცდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს გენერალური პროკურორის ერთობლივი ბრძანებით. სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს გაერთიანების შემდეგ გაჩნდა ამჟამად მოქმედი განრიდების გამოყენების წესის (საქართველოს იუსტიციის მინისტრის N120 ბრძანება) ცვლილების საჭიროება. 39-ე მუხლის არსებული ფორმულირებით, განრიდების პროგრამების გამოყენების წესი მტკიცდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ. საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ გაუქმდა კონსტიტუციის 81[4] მუხლი, რომელიც მიუთითებდა, რომ პროკურატურა შედის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში. პროკურატურის შესახებ ახალი კონსტიტუციური ჩანაწერის მიხედვით (მუხლი 65), პროკურატურა თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მას შემდეგ, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განხორციელდება შესაბამისი ცვლილება, განრიდების გამოყენების წესის დამტკიცება მოხდება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს გენერალური პროკურორის ერთობლივი ბრძანებით.	კანონპროექტების მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
60.	**„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ	„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კანონის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები (დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება, სანოტარო მედიაცია, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია) უსასყიდლოდ (საზღაურის გარეშე) სრულდება და მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება/ამ უფლებაში ცვლილება საფასურის გადახდის გარეშე რეგისტრირდება. სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში მდებარე უძრავ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობა საზღაურის გადახდევინების გარეშე გაიცემა. საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული აღნიშნული შეღავათები მოქმედებს 2022 წლის 1 იანვრამდე.	სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში მოქალაქეებისთვის მომსახურების მიწოდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკუთარი სახსრებით ხორციელდება. თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების	არ გამომდინარეობს

	საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	2016 წლის აგვისტოდან დღემდე მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში მილიონზე მეტი სარეგისტრაციო განცხადება წარმატებით დარეგისტრირდა და საკადასტრო მონაცემები დაზუსტდა ჯამში დაახლოებით 1 254 069 ჰა ფართობის მიწაზე. აღნიშნული წარმატების მიღწევა შესაძლებელი გახდა მანამდე არსებული ფინანსური და ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნის და მოქალაქის ინტერესზე ორიენტირებული საკანონმდებლო რეგულაციების დაწესებით. რეფორმის გაგრძელება საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებულ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს, რაც 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამით კიდევ ერთხელ დადასტურდა. სამთავრობო პროგრამაში მკაფიოდ მიეთითა, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია და მთელი ქვეყნის მასშტაბით სრულყოფილი საკადასტრო მონაცემების შექმნა. ამდენად, მნიშვენლოვანია, შენარჩუნდეს მთელი რიგი მომსახურებების უსასყიდლოდ მიწოდება. ამ მხრივ, ცვლილება უნდა შევიდეს კანონში, რათა 2021 წლის შემდეგაც შესაძლებელი იქნეს რეფორმის უწყვეტად გაგრძელება.	აღიარებას კვლავ მუნიციპალიტეტები განახორციელებენ. სისტემური რეგისტრაციის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ხორციელდება. ამდენად, კანონპროექტების მიღება, ამ მხრივ, სისტემური რეგისტრაციის კონკრეტული გეოგრაფიული არეალების დადგენისას გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.	
61.	**„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან	„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მშენებარე უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციის შესაძლებლობას. შესაბამისი რეგულაციები კანონში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობს. თუმცა, საჭიროა მომზადდეს კანონში ცვლილების პროექტი, რომლითაც დაიხვეწება და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვა ასეთი ტიპის შენობა-ნაგებობებზე უფლებათა რეგისტრაციის მარეგულირებელი პროცედურები.	კანონპროექტების მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	ერთად)			
62.	**„ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით (შემდგომში „ასოცირების შესახებ შეთანხმება“) საქართველომ ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების ვალდებულება აიღო. ევროკავშირის სამართალთან დაახლოების პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა პროცესის შესაბამისი წესით დოკუმენტირება, რაც ამარტივებს დაახლოების პროცესს, თავიდან აცილებს შესაბამის ორგანოებს ერთი და იმავე სამუშაოს რამდენჯერმე შესრულებას, ხელს უწყობს დაახლოების მიზნით შემუშავებული აქტების ანალიზსა და დაახლოების ვალდებულების შესრულების მონიტორინგს. ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ნორმატიული აქტების პროექტებისათვის აუცილებელია შესაბამისობის შემოწმების პროცედურის არსებობა, რისთვისაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნა ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობის შესახებ ნორმატიული აქტების პროექტებისათვის სავალდებულო უნდა იყოს. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების საჭიროებას, ასევე, ხაზს უსვამს 2024 წლისთვის საქართველოს მიერ დაგეგმილი ოფიციალური განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, რაც მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოებისთვის ახალი, ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმისთვის მზაობას. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები ხელს შეუწყობს ამ პროცესის სრულყოფას და ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაახლოების მიზნით შემუშავებული ნორმატიული აქტების მომზადებისა და სამართლებრივი ექსპერტიზისთვის ერთიანი პროცედურის შემოღებას.	კანონპროექტების მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
63.	**„პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ	პატიმრობის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები ხელს შეუწყობს პენიტენციური სისტემის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის ეფექტიან ფუნქციონირებას. პენიტენციურ დაწესებულებას აეკრძალება, შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი სხვა შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მსგავსად (საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის	კანონპროექტების მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	წევრი, საქართველოს სახალხო დამცველი და სხვ.) არის სახელმწიფო ინსპექტორი. გარდა ამისა, დისციპლინური გადაცდომისათვის კორესპონდენციის გაგზავნის/მიღების შეზღუდვა არ გავრცელდება იმ კორესპონდენციაზე, რომლის ადრესატი ან ადრესანტი იქნება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების მქონე პირთა წრე გაფართოვდება და მას დაემატება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომელი.		

64.	**„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია არასრულწლოვანთათვის იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსის შესაძლო მინიჭებას დაქვემდებარებულ პირთა წრის კორექტირება/განსაზღვრით. კერძოდ, დღეისათვის მოქმედი რედაქციის თანახმად, არასრულწლოვან პირს დევნილის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს იმ შემთხვევაშიც თუ ამ სტატუსის მინიჭების მომენტისათვის დევნილის სტატუსი არ აქვს მის მშობელს (მშობლებს). აღნიშნული რედაქცია არ არის მართებული, ვინაიდან, არასრულწლოვანმა პირმა დევნილის სტატუსი უნდა მიიღოს სწორედ მშობლის დევნილის სტატუსიდან გამომდინარე და თუ იგი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ამ სტატუსის მინიჭებას, მაგრამ არ მომართავს სააგენტოს შესაბამისი განცხადებით, ბუნებრივია მისი არასრულწლოვანი შვილიც არ უნდა ექვემდებრებოდეს დევნილის სტატუსის მინიჭებას. გამონაკლისი შესაძლებელია იყოს მხოლოდ არასრულწლოვანი პირის მშობლის (მშობლების) გარდაცვალება, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი მშობელს გარდაცვალებებისას ჰქონდა დევნილის სტატუსი.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
65.	**„ადამიანის სისხლის და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ”** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონის პროექტის მიზანია ადამიანის სისხლის (შემდგომ - სისხლი) და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა, მიუხედავად მათი დანიშნულებისა. იგი განსაზღვრავს სისხლის და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების დაცვის ძირითად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და სხვა შესაბამის ღონისძიებებს, აგრეთვე სისხლის და მისი კომპონენტების შეგროვებასთან, ტესტირებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და განაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონპროექტით მოხდება ასოცირების შესახებ შეთანხმების 357-ე მუხლსა და XXXI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან დაახლოება, კერძოდ: 2003 წლის 27 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/98/EC დირექტივასთან, რომელიც ადგენს ადამიანის სისხლისა და სისხლის კომპონენტების შეგროვების, ტესტირების, დამუშავების, შენახვისა და განაწილების ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტებს, ისევე როგორც, 2004 წლის 22 მარტის ევროკომისიის 2004/33/EC, 2005 წლის 30 სექტემბრის ევროკომისიის 2005/62/EC და 2005 წლის 30 სექტემბრის ევროკომისიის 2005/61/EC დირექტივასთან, რომლებითაც სრულდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/98/EC დირექტივა.	კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხების ფინანსური გათვლები წარმოდგენილი იქნება კანონპროექტის ინიცირების პროცესში	გამომდინარეობს

66.	**„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის“ შესახებ“ და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	**„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“** ამოქმედების შემდეგ, კოდექსით განსაზღვრული გარკვეული წესებისა და ნორმების განხორციელებისათვის, მიზანშეწონილია გარკვეული მუხლების დაზუსტება როგორც რედაქციულად, ისე შინაარსობრივად. **„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** კანონპროექტი გამომდინარეობს „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის“ შესახებ საქართველოს კანონის პროექტიდან. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არეგულირებს დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სექტორში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საკითხებს, თუმცა პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ გარკვეული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
67.	**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ზოგიერთი სანქცია, სპეციფიკის გათვალისწინებით, დადგენილი იყო მხოლოდ იმ ქმედებისთვის რომელიც ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები, გარკვეული გამონაკლისების გარდა, სხვა მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების მსგავსია, არ არსებობს სხვა მუნიციპალიტეტებთან მიმართებით, მისი განსხვავებულ პირობებში ჩაყენების საფუძველი. აღნიშნულმა განაპირობა წინამდებარე კანონპროექტის მომზადებისა და ქვეყნის მასშტაბით, თითოეული მუნიციპალიტეტის თანაბარ პირობებში ჩაყენების აუცილებლობა.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

68.	**„საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მომზადება დაკავშირებულია დეცენტრალიზაციის სტარტეგიიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ქონების მართვის საკითხების შესაბამისი ფორმით მოწესრიგების საჭიროებასთან.	კანონპროექტის მიღება, სავარაუდოდ, არ იქნება დაკავშირებული ფინანსურ სახსრებთან.	არ გამომდინარეობს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

69.	**„საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შესაძლო დარღვევისა და საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობით სარგებლობის უფლების ბოროტად გამოყენების პრევენცია. წინამდებარე ცვლილებაზე მუშაობის პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული ის პოლიტიკური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული თუ სხვა სახის სარგებელი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო და მისი თითოეული მოქალაქე ღებულობს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შედეგად. შესაბამისად, ამ მიღწევის დაცვისათვის აუცილებელია, მოხდეს საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობით სარგებლობის ბოროტად გამოყენების პრევენცია. ამდენად, სახელმწიფოს გააჩნია ლეგიტიმური საფუძველი და უფლებამოსილება, რომ მიმართოს ადეკვატურად მკაცრ ზომებს, რათა, ერთი მხრივ, დაცულ იქნეს ადამიანის უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, არ დაზიანდეს საქართველოს წინსვლა ევროპისაკენ და ამ გზაზე უკვე მიღწეული წარმატებები. შესაბამისად, საქართველოსთან მიმართებაში არასასურველი პროცესების განვითარების თავიდან აცილების მიზნით შემუშავდა „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების პროექტი იმგვარი რეგულაციით, რომელიც შეიცავს უკვე გაცემული საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის დღიდან 180 კალენდარული დღის გასვლამდე, იმავე პირის სახელზე საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის საკითხის განხილვისათვის საკონსულო მოსაკრებლის დაწესებას 175 აშშ დოლარის ოდენობით, ნაცვლად 35 აშშ დოლარისა. ამავე ცვლილებით გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც მოწმობის გაცემაზე 175 აშშ დოლარის გადახდას არ დაექვემდებარება კეთილსინდისიერი მოქალაქე, რომელიც გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო დაკარგავს დასაბრუნებელ მოწმობას, ან მოწმობის მოქმედების ვადაში ვერ შეძლებს საქართველოში დაბრუნებას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
70.	**„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს**	1. წარმოდგენილი კანონპროექტის შემუშავება განაპირობა ბოლო წლებში დაგროვილმა პრაქტიკამ. შესაბამისად, კანონპროექტის მიზანია, საქართველოს ვიზის კატეგორიებში გარკვეული სახის ცვლილებების შეტანა და იმ პირთა წრის დაკონკრეტების აუცილებლობა, რომლებზეც გაიცემა ორდინალური ვიზა C 3 კატეგორიის. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საქართველოში გარკვეული პროექტების განმახორციელებელი კომპანიები 2-3 თვიანი პერიოდით იწვევენ სპეციალისტებს, რომლებზეც მოქმედი რეგულაციის მიხედვით გაიცემა	კანონპროექტის მიღებამ შესაძლებელია გამოიწვიოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით უმნიშვნელო ხარჯი, არაუმეტეს 10 000	გამომდინარეობს

	კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საიმიგრაციო (D1) კატეგორიის ვიზა მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აქვთ საქართველოში ყოფნის გრძელვადიანი მიზანი, მხოლოდ მცირე ვადით არიან მიწვეულნი საქართველოში, რაც დასტურდება ასევე მოწვევის წერილითაც. ამდენად, კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილების არსია ორდინალური ვიზა C 3 კატეგორიის გაიცეს ასევე, საქართველოში მოკლევადიანი შრომითი/სამეწარმეო საქმიანობის მიზნით მომავალ პირებზე. 2. წარმოდგენილი კანონის მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, უცხოელზე მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა შეიძლება გაიცეს, თუ ის წინა წლის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოში. ამ ჩანაწერის მიხედვით, პირი რომელიც იანვარში იმყოფებოდა საქართველოში და ვიზაზე მოგვმართავს სექტემბრის თვეში, მიუხედავად მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზის მოთხოვნის დასაბუთებისა, ვერ მიიღებს ამგვარ ვიზას. შესაბამისად, კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილების მიზანია, შეტანილ იქნას ცვლილება მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზის გაცემის პირობებში და მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა გაცემის აუცილებელ პირობად განისაზღვროს საქართველოში უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ყოფნა. 3. არსებულმა პრაქტიკამ ასევე აჩვენა, რომ საქართველოს ვიზის გაცემის პროცესში აუცილებელია უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმების ამოქმედება. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა საქართველოს ვიზის მიღების მსურველ პირთა ბიომეტრიული მონაცემების (თითის ანაბეჭდი) შეგროვება/დამუშავების აუცილებლობის საკითხი. აღნიშნული ცვლილება შექმნის ვიზის გაცემაზე მოთხოვნის წარმდგენ პირთა იდენტურობის დადგენის სრულიად ახალ გამოცდილებას. ბიომეტრიული მონაცემებით პირთა იდენტიფიცირება მინიმუმამდე დაიყვანს საქართველოს ვიზის გაცემას იმ პირებზე, რომელთაც გარკვეული მიზეზებით ერთხელ უარი ეთქვათ ვიზის გაცემაზე, ხოლო ახალ განაცხადს წარადგენენ შეცვლილი პერსონალური მონაცემებით (შეცვლილი გვარი, სახელი, მოქალაქეობრივი კუთვნილება ან სხვა). უსაფრთხოების პრინციპებიდან გამომდინარე, უცხოელთა ბიომეტრიული მონაცემების შეგროვება/დამუშავებას ასევე ითვალისწინებს შენგენის სავიზო კოდექსის მე-13 მუხლი, ამასთან „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორემ მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების მესამე კარის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის D და F ქვეპუნქტები ითვალისწინებს დოკუმენტების	ლარისა.	

		უსაფრთხოებისა და საზღვრის მართვის სფეროებში ისეთ საკითხებზე თანამშრომლობას, როგორიცაა არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ეფექტიანი და პრევენციული პოლიტიკის გაძლიერება, მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), მათ შორის ის საკითხი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მიგრანტთა საზღვარზე უკანონოდ გადამყვან პირთა და ადამიანით მოვაჭრეთა ქსელის წინააღმდეგ ბრძოლა და ამგვარი ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვა, ასევე საზღვრის მართვის სფეროებში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.		

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

71.	**„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	პროექტის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის დახლოება 2003 წლის 27 ოქტომბრის საბჭოს 2003/96/EC დირექტივასთან „ევროგაერთიანების ფარგლებში ენერგოპროდუქტებისა და ელექტროენერგიის დაბეგვრის ჩარჩოს რესტრუქტურიზაციის შესახებ“.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს
72.	**„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2021 წლამდე შეტანილი ცვლილებების შედეგად წარმოშობილი ხარვეზებისა და უზუსტობების აღმოფხვრა, ასევე, გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფა, სამართლიანი და მოქნილი ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
73.	**„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	2020 წლის ივნისში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საგადასახადო თანამეგობრობის მიმართ ოფიციალურად იქნა გაცხადებული საქართველოს მიერ ვალდებულების აღება, ანგარიშგების საერთო სტანდარტის (CRS) დანერგვასა და 2023 წლიდან, ამ სტანდარტის მიხედვით, ინფორმაციის ავტომატური გაცვლის დაწყებაზე. ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის მიზანია ხელი შეუწყოს საგადასახადო გამჭვირვალობას და საგადასახადო კანონშესაბამისობის გაუმჯობესებას, გამომდინარე იქიდან, რომ მზარდი გლობალიზაციის პირობებში გაიზარდა შემოსავლებისა და ინვესტიციების ფლობისა და განკარგვის	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		შესაძლებლობები სხვა იურისდიქციებში, გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით. აღნიშნულ რისკებზე საპასუხოდ, დიდი ოცეულის (G20) წევრი ქვეყნების მოთხოვნით, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (OECD) შეიმუშავა და დაამტკიცა ანგარიშგების საერთო სტანდარტი (CRS). ანგარიშგების საერთო სტანდარტის მიხედვით ინფორმაციის ავტომატური გაცვლის დაწყებისთვის, საჭიროა საქართველო შეუერთდეს „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივ შეთანხმებას (CRS MCAA). აღნიშნული შეთანხმების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ასახული იქნება დასახელებულ კანონპროექტებში. საკანონმდებლო ცვილებების არსია: დაავალდებულოს ფინანსური ინსტიტუტები განახორციელონ სათანადო ზრუნვის პროცედურები და არარეზიდენტი მომხმარებლების ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს სსიპ შემოსავლების სამსახურს; უფლებამოსილება შესძინოს სსიპ შემოსავლების სამსახურს, რომ ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული ინფორმაცია გადასცეს ხელშემკვრელი სახელმწიფოების კომპეტენტურ უწყებებს; დააწესოს სანქციები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, დადგენილი წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში.		
74.	**„საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია საბაჟო ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ფორმალობების სრულყოფის, მოქნილი ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნის, ასევე ტექნიკური უზუსტობებისა და ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით. კანონპროექტი ითვალისწინებს საბაჟო ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ფორმალობების დახვეწას, ბუნდოვანი ნორმების ნათლად ჩამოყალიბებას, ცალკეული ნორმების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას და უზუსტობების აღმოფხვრას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
75.	**„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში**	კანონპროექტის შემუშავების მიზანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის დახვეწა და სრულყოფა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის ხელის შეწყობა.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს

	ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ასევე, აუდიტის სფეროს საზედამხედველო ორგანოს ორგანიზაციული სტრუქტურისა და ზედამხედველობის ფორმების შეცვლა და მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკასთან მიახლოება. კანონპროექტი გამომდინარეობს „ზოგიერთი კატეგორიის საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგებების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების და დაკავშირებული ანგარიშების შესახებ, რომელიც ცვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/43/EC დირექტივას და აუქმებს საბჭოს 78/660/EEC და 83/349/EEC დირექტივებს" 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/34/EU დირექტივიდან, ასევე გარკვეული ნორმების გადმოტანა და დაზუსტება ხდება 2002 წლის 19 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს "ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების შესახებ" N 1606/2002 რეგულაციიდან.		
76.	**„საშემფასებლო საქმიანობის შესახებ”** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნის შესრულება. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ უდიტორული და საშემფასებლო პროფესიების გამიჯვნის მიზნით საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტი. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ საქართველოში სრულყოფილად არ არის რეგულირებული საშემფასებლო საქმიანობა, არ არის განსაზღვრული თუ როგორ და რა სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით ხორციელდება იგი. საქართველოში სამოქმედოდ ოფიციალურად არ არის შემოღებული ის სტანდარტები, რომლის მიხედვითაც შემფასებლები ახორციელებენ საქმიანობას. პროექტით შემოთავაზებული ცვლილებები გააძლიერებს შემფასებელთა პროფესიულ ორგანიზაციებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დაინტერესებულ პირთა პროფესიული განათლების მიღებას, შემფასებელთა პროფესიულ განათლებას და მუდმივ მონიტორინგს. კანონის მიღებით გაიზრდება საშემფასებლო საქმიანობის მიმართ ნდობა, უზრუნველყოფილი იქნება ინვესტიციების მოზიდვა, მოხდება ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელშეწყობა.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
77.	**„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია სისტემურ-ელექტრონული ფორმით (ონლაინ) აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობაზე რეგულაციების შემოღების აუცილებლობით. კანონპროექტი აწესებს ახალი სანებართვო საქმიანობის სახეებს სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული და მომგებიანი თამაშობის ორგანიზებაზე. თანმდევი კანონპროექტები ითვალისწინებს ახალი სანებართვო საქმიანობის შემოღებას სისტემურ-ელექტრონული ფორმით (ონლაინ) თამაშობებზე	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	და შესაბამისად განსაზღვრავს სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთს და გადახდის წესს. მიუხედავად იმისა, რომ „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ გამომდინარე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ამავე შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების ვალდებულება არ ეკისრება საკანონმდებლო აპროქსიმაციის პროცესში, „სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ თამაშობებზე ევროკავშირის ჩარჩო ხელშეკრულება“ (A EU Framework for Online Gambling) ითვალისწინებს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული თამაშობების საუკეთესო რეგულირების ძირითად რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც სავალდებულოა აღნიშნული ქვეყნებისათვის.		
78.	**„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
79.	**„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია საჯარო ფინანსების მართვის სფეროში დაგეგმილი რეფორმების ასახვისა და აღნიშნული რეფორმების იმპლემენტაციისათვის შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს მოწესრიგების აუცილებლობით. კანონპროექტი ითვალისწინებს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში საჯარო ფინანსების მართვის სისტემის მოცვის არეალის გაფართოებას და გამჭვირვალობის გაზრდას, მათ შორის, სახელმწიფო საწარმოების ოპერაციების ასახვას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

80.	**„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	პერსონალური მონაცემების დამუშავების გამართული საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობისათვის აუცილებელია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებობდეს პერსონალური მონაცემების დამუშავების დეტალური წესები, რომელიც დარეგულირებული იქნება საკანონმდებლო აქტით.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
81.	**„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ცვლილება ითვალისწინებს გამომძიებელსა და პროკურორს შორის გამოძიების მიმდინარეობისას უფლებამოსილებების გამიჯვნას. გამომძიებელი პასუხისმგებელი იქნება გამოძიების დაწყებასა და მის დამოუკიდებლად ჩატარებაზე, ხოლო პროკურორი - სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე, საქმის სასამართლოში წარმართვასა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაზე. განსხვავებული სახით შენარჩუნდება საპროკურორო კონტროლის კომპონენტი. საკანონმდებლო ცვლილებები უზრუნველყოფს საპროკურორო და საგამოძიებო უფლებამოსილებების დაბალანსებულ გადანაწილებას სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპებზე.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
82.	**„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში**	უცხოელის მიმართ გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულებისთვის გათვალისწინებული ვადაა, საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის ამოწურვიდან, 15 სამუშაო დღე, რაც უმეტეს შემთხვევაში არ არის საკმარისი, იმ პირობებშიც კი, როდესაც წინასწარ გათვალისწინებულია მოსალოდნელი	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	დაბრკოლებები. პროექტი ითვალისწინებს ამ მიმართულებით ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობას. გარდა ამისა, კანონპროექტი მიზნად ისახავს კანონში არსებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრას.		
83.	**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ცვლილება მიზნად ისახავს პასუხისმგებლობის გამკაცრებას ისეთი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისთვის, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
84.	**„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესი. აღნიშნული რეგულაციები საჭიროებს დახვეწას. პროექტით, ასევე გათვალისწინებულია სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის, მოსამსახურის მიმართ წახალისების ფორმად - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ჟეტონით დაჯილდოვება. ამასთან, ცვლილებების შედეგად საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელებს მოსამსახურეთა მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების მეშვეობით.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)			
85.	**„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონის ანალიზის საფუძველზე, დახვეწას საჭიროებს საერთაშორისო დაცვაზე განმეორებით განცხადების განხილვის პროცედურა. პროექტით, დეტალურად გაიწერება თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება უცხოელი თავშესაფრის მაძიებლად საერთაშორისო დაცვაზე განმეორებითი განცხადებით მომართვის შემთხვევაში. ამასთან, ზემოხსენებულ კანონში შესატანი ცვლილებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ცვლილების შეტანა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში. ცვლილების თანახმად დაზუსტდება, რომ განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების არსებით განხილვაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ ინდივიდუალურ ადინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით დავას სასამართლო განიხილავს ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
86.	**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო პროექტი ითვალისწინებს საგზაო მოძრაობის სფეროში, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო მექანიზმების შექმნასა და არსებული მექანიზმების დახვეწას. პროექტის შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში აღმოიფხვრება რიგი ხარვეზები და ახლებურად დარეგულირდება ცალკეული საკითხები.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

87.	**„სპორტულ და კულტურულ ღონისძიებათა უსაფრთხოების შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	პროექტის შემუშავება განპირობებულია სპორტულ შეჯიბრებებსა და კულტურულ ღონისძიებებზე უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობით. კანონპროექტით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად დარეგულირდება სპორტული და კულტურული ღონისძიების უსაფრთხოდ ჩატარებისათვის საჭირო ორგანიზაციული საკითხები და პროცესში ჩართული პირებისა და ორგანოების უფლებამოსილებები. კანონის პროექტის მიღება ხელს შეუწყობს მასობრივი ხასიათის სპორტული და კულტურული ღონისძიებების დროს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიან დაცვას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
88.	**„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** **და** **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, აგრეთვე საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე მოხდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ეკონომიკურ დანაშაულებთან მიმართებით არსებული მცირე მნიშვნელობის ზიანის ცნების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

89.	**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126-ე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის ვალდებულება, რაც ემსახურება საჯარო მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის ინსტიტუციური მოწყობის ერთიანი პრინციპების გავრცელების უზრუნველყოფას. კანონპროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების კატეგორიზაციას, მათი დაფუძნების საფუძვლებს და მათთან მიმართებით ადგენს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაქვემდებარებისა და მათ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონების გავრცელების, მათ შორის დასაქმებული პირების სტატუსის განსაზღვრის საკითხს. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, კანონის მიღების აუცილებლობა განპირობებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დათქმით, რომელიც ადგენს კანონის დონეზე საჯარო სამართლის იურიდიული პირების კატეგორიზაციის ვალდებულებას. **(ავტორი: საჯარო სამსახურის ბიურო)**	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
90.	**„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან	კანონპროექტის მიღება განპირობებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების მომწესრიგებელი ნორმების დეტალური განსაზღვრის საჭიროებით. კანონის პროექტი მიზნად ისახავს საჯარო სამსახურში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას და საჯარო სამსახურში დასაქმებული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობის უზრუნველყოფას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	ერთად)	ასევე, კანონპროექტით გათვალისწინებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლი ახლებურად აყალიბებს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების მომწესრიგებელ ნორმებს, რომელიც მოხელის უფლებრივი მდგომარეობის მაღალ სტანდარტს ადგენს. კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილების განხორციელება აუცილებელია, რათა აღმოიფხვრას დისკრიმინაციის, ასევე საჯარო სამსახურში ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებაში დღეს მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში არსებული ნაკლოვანებები. ასევე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტურად განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს საქართველოს კანონის 126^1 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზოგადი გარდამავალი პერიოდის გახანგრძლივების საკითხი. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრულია კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, როგორიცაა შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღების ვალდებულება, სსიპ-ებისთვის კატეგორიების მიკუთვნება, სსიპ-ებში დასაქმებული პირების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა. ყოველივე აღნიშნულის განხორციელება კი დაკავშირებულია გარკვეულ დროსთან. შესაბამისად, შესაძლებელია საჭირო გახდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126^1 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზოგადი გარდამავალი პერიოდის გახანგრძლივება, რაც ხელს შეუწყობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელებისათვის სათანადო პირობების შექმნას და პრაქტიკაში მის უხარვეზო განხორციელებას. ამასთან, საქართველოს საჯარო სამსახურში არსებული პრაქტიკისა და გამოწვევების შეფასების ანალიზის საფუძველზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს		

		კანონის გარკვეული მუხლების გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. **(ავტორი: საჯარო სამსახურის ბიურო)**		
91.	**„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მომზადების საჭიროება განპირობებულია თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ რეგულაციების დახვეწის აუცილებლობით. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს თანამდებობრივი შეუთავსებლობის საფუძვლებს, რაც საჯარო სამსახურის სისტემაში გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით საჭიროებს გარკვეულ საკანონმდებლო ცვლილებებს. ასევე, არსებული პრაქტიკისა და გამოწვევების შეფასების ანალიზის საფუძველზე, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის გარკვეული მუხლების გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. **(ავტორი: საჯარო სამსახურის ბიურო)**	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
92.	**„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტი მიზნად ისახავს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების“ შესახებ საქართველოს კანონის სრულყოფას და პრაქტიკიდან გამომდინარე არსებული ხარვეზებისა და უზუსტობების აღმოფხვრას. **(ავტორი: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია)**	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
93.	**„საჯარო შესყიდვების შესახებ“** (ახალი კანონპროექტი)	ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მე-8 თავის თანახმად, საქართველომ 2022 წლამდე ეტაპობრივად უნდა დაუახლოვოს საჯარო შესყიდვებისა და კონცესიების	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან	გამომდინარეობს

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	სფეროების კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას. კანონმდებლობის „აპროქსიმაციის“ მეორე ფაზა მოიცავს საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ მრავალ მნიშვნელოვან ასპექტს, რისთვისაც მომზადდა ხსენებული კანონპროექტი მრავალი საერთაშორისო ექსპერტისა და ორგანიზაციის ჩართულობით. გამომდინარე იქიდან, რომ არსებითად იცვლება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მათ შორის, ინერგება ბევრი ახალი კონცეფცია, მიდგომა, პროცედურა და ბიზნეს-პროცესი, ასევე თავად სფეროს დასახელებაც „საჯარო შესყიდვა“ განიცდის ცვლილებას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სფეროს მარეგულირებელი სრულიად ახალი კანონის მიღება, რითაც სრულყოფილად შესრულდება DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულებები საჯარო შესყიდვების სფეროში. მიღებული კანონპროექტი იქნება ერთიანი და მასში მოქცეული იქნება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი კომპონენტი და ასპექტი, კერძოდ, „კონვენციური“ საჯარო შესყიდვები, აგრეთვე საჯარო შესყიდვები თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ახალი რეგულაციები. ამდენად, მთლიანად სფერო თავმოყრილი იქნება ერთი საკანონმდებლო აქტის ქვეშ, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს მის ეფექტიან დანერგვასა და აღსრულებას. კანონპროექტი ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას. კანონპროექტი გამომდინარეობს ასოცირების შეთანხმებიდან და ითვალისწინებს ასოცირების შეთანხმებაში მოცემული — 2014 წლის 26 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014/24/EU დირექტივის „საჯარო შესყიდვებისა და 2004/18/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ და 1989 წლის 21 დეკემბრის ევროსაბჭოს 89/665/EEC დირექტივის „პროდუქციის მიწოდების და სამუშაოების შესრულების შესახებ საჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცედურების გამოყენების შესახებ კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის თაობაზე“ დაახლოების II და IV ფაზებით დადგენილი რეგულაციების იმპლემენტაციას ეროვნულ კანონმდებლობაში. **(ავტორი: სახელმწიფო შეყიდვების სააგენტო)**	დამატებითი სახსრების გამოყოფას.	
94.	**„ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული**	კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის (კერძოდ, აღნიშნული შეთანხმების დანართი XV – 2002/87/EC დირექტივა). კანონპროექტის მიღების შედეგად საქართველოს კანონმდებლობაში აისახება	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან	გამომდინარეობს

	საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ფინანსური კონგლომერატის დეფინიცია და აღნიშნულთან დაკავშირებით ჩამოყალიბდება საზედამხედველო ჩარჩო. კერძოდ, შესაბამის საზედამხედველო ორგანოებს მიენიჭება ფინანსური კონგლომერატის დონეზე დამატებითი ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება. კანონპროექტის მიხედვით დამატებითი ზედამხედველობის უფლებამოსილება ენიჭება შესაბამის საზედამხედველო ორგანოებს. აღნიშნულის განხორციელება მოხდება იმ სექტორული საზედამხედველო წესების პარალელურად, რომლის უფლებამოსილებაც არსებობს დღეის მდგომარეობით შესაბამისი დაწესებულებების დონეზე. კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის (კერძოდ, აღნიშნული შეთანხმების დანართი XV – 2002/87/EC დირექტივა). გარდა იმისა, რომ ვალდებულების შესრულება გაწერილია ასოცირების ხელშეკრულებით, აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა ნეგატიურ გავლენას იქონიებს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციაზე. **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**	დამატებითი სახსრების გამოყოფას.	
95.	**„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში**	კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებით (კერძოდ, იგი მიზნად ისახავს აღნიშნული შეთანხმების XV-A დანართის F ნაწილით გათვალისწინებულ შიდა ბაზარზე საგადახდო მომსახურებების შესახებ 2007 წლის 13 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/64/EC დირექტივის ჩამნაცვლებელ – EU 2015/2366 დირექტივასთან დაახლოებას). აღნიშნული ცვლილებების შედეგად, საგადახდო სისტემების და საგადახდო მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობა კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდება ევროკავშირის დირექტივას. კერძოდ, ჩამოყალიბდება საგადახდო მომსახურების ახალი სახეობები, დაზუსტდება მომხმარებლის და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების პასუხისმგებლობები არაავტორიზებული ოპერაციების განხორციელებისას, ასევე გადახდის ოპერაციების შეუსრულებლობის, არასწორად ან დაგვიანებით შესრულებისას. გათვალისწინებული იქნება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ საგადახდო ანგარიშთან დაკავშირებულ საბანკო მომსახურებებზე წვდომის უფლებამოსილება, გარდა ამისა, მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის მოთხოვნები. საკანონმდებლო პაკეტით განისაზღვრება ასევე ღია ბანკინგთან დაკავშირებული საკითხები. საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებული იქნება	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს

	ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საგადახდო მომსახურების მომხმარებლის მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის საჩივრით მიმართვის და საჩივრის განხილვის შესახებ დებულებები, ასევე, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის შესაბამისად განიხილება საგადახდო მომსახურების მომხმარებელსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის დავები. ასევე, განისაზღვრება ეროვნული ბანკის უფლებამოსილება მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით საზედამხედველო სუბიექტებისთვის დაკისრებული სანქციების თავის მიერ დადგენილი წესით გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. კანონპროექტით გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, გადახდის ოპერაციაში მონაწილე სუბიექტების მიერ ერთმანეთისათვის გადასახდელი ურთიერთგაცვლის საკომისიოს ოდენობის ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ, ასევე საბარათე ინსტრუმენტის მიღებასთან და ქო-ბეჯინგთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, ცვლილებების შესაბამისად, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილი იქნება იურიდიული პირი ელექტრონული ფულის სქემაში ჩართოს გადამხდელის სტატუსით, თუ პროვაიდერი უზრუნველყოფს საბანკო დაწესებულებებისთვის „საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნების შესრულებას. დამატებით, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებებიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“. ცვლილებები, მათ შორის, შეეხება საგადახდო მომსახურების ჩამონათვალის დაზუსტებას. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის (კერძოდ, აღნიშნული შეთანხმების XV-A დანართის F ნაწილით გათვალისწინებული შიდა ბაზარზე საგადახდო მომსახურებების შესახებ 2007 წლის 13 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/64/EC დირექტივის ჩამნაცვლებელი– EU 2015/2366 დირექტივა). ამასთან, აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს ინოვაციური ფინანსური პროდუქტების განვითარებას, ასევე, მომხმარებლის მომსახურებას უფრო დაცულს გახდის. **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**		
96.	**„ჩეკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია Moneyval-ის მე-4 რაუნდის შემოწმების შედეგად საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, წარმომდგენზე ჩეკი არის მომეტებული რისკის მატარებელი AML-ის მიმართულებით და მიზანშეწონილია მისი გაუქმება და ჩეკის გამოწერა	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან	არ გამომდინარეობს

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	წინასწარ ფინანსური ინსტიტუტის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად იდენტიფიცირებულ პირზე. **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**	დამატებითი სახსრების გამოყოფას.	
97.	**„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ორგანული კანონის პროექტის შემუშავება განპირობებულია სესხის გამცემი სუბიექტის ცნების გაფართოების საჭიროებით. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სესხის გამცემი სუბიექტის ცნება არეგულირებს მხოლოდ საკრედიტო/სასესხო ურთიერთობებს, რამაც გამოიწვია ბაზარზე დაურეგულირებელი სფეროების გაჩენა, ცალკეული პირების მიერ სესხის გამცემი სუბიექტის რეგულირებისათვის თავის არიდების მიზნით. ამდენად, მნიშვნელოვანია გაფართოვდეს სესხის გამცემი სუბიექტის ცნება, რათა აღნიშნულმა მოიცვას არა მხოლოდ სესხის/კრედიტის გამცემი პირების საქმიანობა, არამედ ისეთი ურთიერთობებიც, რომელიც თავისი შინაარსიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე, საკრედიტო ურთიერთობას წარმოადგენს. **„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** კანონპროექტით გათვალისწინებულია დამატებითი სამართლებრივი დაცვის გარანტიები გირავნობით/იპოთეკით მოთხოვნების უზრუნველყოფასთან მიმართებით. ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას, სამართლებრივი აქტით დაადგინოს განვადებით ნასყიდობისას საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის წესი. **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
98.	**„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“**	კანონპროექტების შემუშავების აუცილებლობა განპირობებულია 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს "საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისა და საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული ზედამხედველობის თაობაზე“ 2013/36/EU დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ვალდებულებით, რამდენადაც აღნიშნული დირექტივით გაუქმდა 2006 წლის 14 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/48/EC დირექტივა საკრედიტო ინსტიტუტების ბიზნესის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ, რომელიც, თავის მხრივ, 2014 წლის საქართველო-	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს

	საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ შესასრულებლად სავალდებულო დირექტივათა სიაშია (ასოცირების შესახებ შეთანხმება; მუხლი 323, დანართი XV-A, A. საბანკო სფერო). კანონპროექტებში შესატანი ცვლილებების თანახმად, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე, კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენაზე, ბანკის ადმინისტრატორისა და მისი მნიშვნელოვანი წილის შემძენის შესაფერისობის კრიტერიუმები უნდა დაუახლოვდეს ზემოაღნიშნული დირექტივითა და ევროპის საბანკო უწყების (European Banking Authority) მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს. **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**		
99.	**„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტებით გათვალისწინებული ცვლილებით, სახელმწიფო სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის მარეგულირებელი დებულებები დაიხვეწება და დაუხლოვდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
100.	**„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მიკროსაფინანსო**	კანონპროექტების შემუშავება განპირობებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გადახდისუუნარობის/გაკოტრების, ასევე კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ცვლილების (მათ შორის, გარდაქმნის) და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის საკითხების დარეგულირების საჭიროებით. აღსანიშნავია, რომ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც მანამდე მოქმედი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი მოქმედების სფეროსთან მიმართებით რიგ საგამონაკლისო	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ	შემთხვევებს ითვალისწინებს, კერძოდ, კანონის მოქმედების სფეროდან გამორიცხულები არიან კომერციული ბანკები და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, ასევე სხვა სუბიექტები, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხი წესრიგდება სპეციალური კანონმდებლობით. აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევების განსაზღვრის საჭიროება განაპირობა იმან, რომ ამ ფინანსური ინსტიტუტების ლიკვიდაციისა და გადახდისუუნარობის/გაკოტრების პროცესი სპეციფიკური ბუნებით ხასიათდება და მათი კრედიტორების ბუნებაც და რისკიანობაც განსხვავებულია. ანალოგიური სპეციფიკური ბუნება ახასიათებთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსაც, რის გამოც აუცილებელი ხდება მათი გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნდეს მხოლოდ ეროვნულ ბანკს და მათი გადახდისუუნაროდ/გაკოტრებულად გამოცხადების საკითხები, სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, სპეციალური კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს. არსებული კანონმდებლობით პროცესი ხელოვნურად ორადაა გაყოფილი - მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაცია ეროვნული ბანკის კომპეტენციაშია, მაშინ როდესაც გადახდისუუნარობის/გაკოტრების ნაწილი გამოყოფილია ეროვნული ბანკიდან, რაც პროცესს მოუქნელსა და არაეფექტურს ხდის და ამასთან, აფერხებს პროცესის დროულ და ორგანიზებულ წარმართვას/დასრულებას. აღნიშნული კი წინააღმდეგობაში მოდის ლიკვიდაციის მიზანთან, დროულად მოხდეს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და უზრუნველყოფილი იქნას ფინანსური სექტორის სტაბილური და ეფექტური ფუნქციონირება. წინამდებარე ცვლილებები კრიტიკული მნიშვნელობისაა ერთი მხრივ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საზედამხედველო უფლებამოსილებების სრულყოფილად და სათანადოდ განსახორციელებლად და მეორე მხრივ, კრედიტორების დაცვისა და მათი მოთხოვნების დროული და ეფექტური დაკმაყოფილების მიზნებისათვის. საკანონმდებლო პაკეტით, საქართველოს ეროვნულ ბანკს ექნება შესაძლებლობა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ გააჩნია თანხა ლიკვიდაციის ხარჯების დასაფარად, ეროვნულმა ბანკმა გასწიოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის აუცილებელი ხარჯი. ცვლილებების შესაბამისად, ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები (კომერციული ბანკების და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მსგავსად) განთავისუფლდებიან სასამართლო ბაჟის გადახდისგან დაუფარავი სესხების, სესხების პროცენტებისა და სხვა დებიტორული		

	საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	დავალიანებების დაბრუნებაზე აღძრულ ყველა სარჩელზე, რაც თავისმხრივ კრედიტორების ინტერესების დაცვისკენ არის მიმართული. ამასთან, ზუსტდება კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა, რეგულირდება ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ ამოღებული თანხების განკარგვის საკითხი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ლიკვიდაციის დაწყების თარიღიდან შეწყდება წინა პერიოდებში დაკისრებულ გადასახადებზე ჯარიმის/საურავის დარიცხვა, ასევე, კრედიტორთა გასტუმრების რიგითობის დაცვის მიზნით, მოწესრიგდება საგადასადახდო გირავნობით დატვირთული აქტივების რეალიზაციის საკითხები. ამასთან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის დადგენილი ინვესტიციების კოეფიციენტის ლიმიტი შემზღუდველი ფაქტორი რომ არ აღმოჩნდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საწარმოს წილის მიღებისას მის მიერ გაცემული კრედიტის თანხის ასანაზღაურებლად, ასეთ შემთხვევაში, საქართველოს ეროვნულ ბანკს ენიჭება უფლებამოსილება დაუწესოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას გონივრული ვადა, არაუმეტეს 1 წელი, აღნიშნული ინვესტიციის შესამცირებლად/გასასხვისებლად/შესარწყმელად. **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**		
101.	**„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია ვალუტის გადაცვლის ოპერაციების წარმოებისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შემოღების საჭიროებით, კერძოდ, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული იმ სუბიექტების მიმართ, რომლებიც ვალუტის გადაცვლის ოპერაციებს ახორციელებენ, საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილების გაძლიერებისა და დამატებითი მოთხოვნების დაწესების აუცილებლობით. კანონპროექტის შესაბამისად, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ვალდებულებები მომსახურების გაწევისას მომხმარებლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით გავრცელდება ყველა იმ სუბიექტზე, რომელიც ახორციელებს ვალუტის გადაცვლას. კანონპროექტით, განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, მომსახურების საკომისიოსა და ნებისმიერ მსგავს ხარჯთან დაკავშირებით დაადგინოს შეზღუდვა ან აკრძალვა; ასევე საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილი იქნება, დააწესოს შეზღუდვები ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის სხვაობაზე. **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

102.	**„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისათვის ვალუტის გადაცვლის ოპერაციების უნაღდო ფორმით განხორციელების უფლების მინიჭების საჭიროებით. აღნიშნულთან მიმართებით, კანონპროექტით განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, დამატებითი საზედამხედველო მოთხოვნების დადგენის კუთხით. **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
103.	**„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“,**	კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილების გაფართოების აუცილებლობით, კერძოდ, არსებული ჩანაწერის მიხედვით ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გარკვეული ვადით ან/და გარკვეული პირობებით გაათავისუფლოს კომერციული ბანკი თავის მიერ დადგენილი ნორმების დაცვისაგან; აღნიშნული უფლებამოსილება შემოფარგლულია მხოლოდ კომერციული ბანკებით, ხოლო ზედამხედველობას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტების მიმართ არ არსებობს მსგავსი უფლებამოსილება. ამ კუთხით საზედამხედველო უფლებამოსილების გაფართოება და სხვა სუბიექტებზე გავრცელება, შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ეროვნულ ბანკს ეფექტიანად იმოქმედოს რეგულირების პროცესში და სრულფასოვნად გამოიყენოს საზედამხედველო უფლებამოსილება, მათ შორის, რეგულირების ლაბორატორიის შექმნის შესახებ შემუშავებული ახალი ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტებს საშუალებას აძლევს რეალურ რეჟიმში, საზედამხედველო ორგანოს კონტროლირებად გარემოში გამოსცადონ ინოვაციური სერვისები და პროდუქტები, რისთვისაც გარკვეული ვადით ან/და გარკვეული პირობებით ეროვნულ ბანკის მიერ დადგენილი ნორმების დაცვისაგან გათავისუფლება არსებით საჭიროებას წარმოადგენს. ამასთან, საზედამხედველო უფლებამოსილების განხორციელებისას მეტი მოქნილობის მიზნით, მათ შორის რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩოს ეფექტიანად გამოსაყენებლად, აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტების მიმართ, ეროვნულ	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ბანკს ჰქონდეს პირობითი ლიცენზიის გაცემის/პირობითი რეგისტრაციის განხორციელების მანდატი. კანონპროექტის შემუშავების მიზანია ასევე ციფრული ბანკის ლიცენზირების პროცესის რეგულირება, მათ შორის, ბანკის მიერ რეალურ გარემოში ოპერაციების დაწყებამდე ტესტირების ხანგრძლივი პროცესის (მაქსიმუმ 4 წელი) გავლის უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის გაუქმების ერთ-ერთ საფუძველში, კერძოდ - კომერციული ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების დღიდან 6 თვის განმავლობაში საქმიანობის განუხორციელებლობა - ციფრული ბანკის ლიცენზირების შემთხვევის გამონაკლისად გათვალისწინება. ასევე პირობითი ლიცენზიის საკითხის გათვალისწინება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ციფრულ ბანკზე ლიცენზიის გაცემის პროცესის კანონთან შესაბამისობა. **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**		
104.	**„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო	ცვლილება მიზნად ისახავს ჩანაწერის დახვეწას მოქმედი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ტერმინოლოგიასთან შესაბამისობის თვალსაზრისითა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	ცვლილებებთან ერთად)	**(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**		
105.	**„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის, Moneyval-ის მე-5 რაუნდის შემოწმების შედეგად საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციით, რომლის თანახმად, ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერების საქმიანობა აუცილებელია ექცეოდეს საკანონდებლო რეგულირების ფარგლებში. ასევე, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის, FATF-ის მე-15 რეკომენდაციით ,,ახალი ტექნოლოგიები“, განმარტებითი ბარათი განსაზღვრავს ვირტუალურ აქტივთან და ვირტუალური აქტივის მომსახურების განმახორციელებელ პირებთან დაკავშირებულ მიდგომებს და ადგენს ეროვნულ დონეზე ქვეყნების მიერ გასატარებელ ღონისძიებებს. ვირტუალური ვალუტის რეგულირების საკითხი ასევე განსაზღვრულია ევროკავშირის ფინანსური სისტემების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნით გამოყენების აღკვეთის შესახებ მეხუთე დირექტივით. განსაკუთრებით, საყურადღებოა, აღნიშნული საქმიანობის AML/CFT მიმართულებით დარეგულირება, ვინაიდან არის მომეტებული რისკის მატარებელი. კანონპროექტების შესაბამისად, განისაზღვრება ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერების სახეობები, რომლებიც დაექვემდებარებიან საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის კუთხით. მათზე გავრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რაც „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია ანგარიშვალდებული პირების მიმართ. კანონპროექტით განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, დამატებითი საზედამხედველო მოთხოვნების დადგენის მიმართულებით. შესაბამისად, საკანონმდებლო ჩარჩოს დამტკიცების შემდეგ შემუშავდება შესაბამისი კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები. **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
106.	**„მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“,** (ახალი კანონპროექტი) **და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“**	კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს საფინანსო სექტორში საშუალო ზომის, სტაბილური ბიზნეს მოდელისა და მაღალი რეპუტაციის მქონე ახალი ფინანსური ინსტიტუტის შექმნა, სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტების ხელშეწყობა, კონკურენციის ზრდა და საკრედიტო პროდუქტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება. ასევე, საფინანსო პროდუქტების ხელმისაწვდომობისა და ფინანსური ჩართულობის ზრდა, განსაკუთრებით	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს

	საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	სოფლად. მცირე ბიზნესის განვითარების შედეგად, ხელი შეეწყობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გაიზრდება საერთაშორისო ინვესტორების დაინტერესება. დამატებით, აღნიშნული ცვლილების ფარგლებში რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონშიც, კერძოდ, დაიხვეწება და ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვა ადმინისტრატორებისა და აქციონერების შესაფერისობის კრიტერიუმები, საბანკო ლიცენზირებისა და კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის პრინციპები და მოთხოვნები. აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შედეგად უფრო სრულყოფილად და სიღრმისეულად წარიმართება ადმინისტრატორებისა და აქციონერების შესაფერისობის კრიტერიუმების, კომერციული ბანკის ლიცენზირებისა და მნიშვნელოვანი წილის შეძენის პროცესები. გარდა ამისა, კანონპროექტის შემუშავება საქართველოევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნითაც არის განპირობებული (კერძოდ, აღნიშნული შეთანხმების დანართი XV – 2006/48/EC დირექტივა, რომელიც შემდგომში ჩანაცვლებულ იქნა 2013/36/EU დირექტივით). აღსანიშნავია, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში მომზადებული ცვლილებების გარკვეული ნაწილი, მიკრო ბანკების ჩარჩოს კონტექსტისა და სპეციკურობების გათვალისწინებით, „მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტშიც აისახა. ამასთან, „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართელოს ორგანულ კანონში ცვლილებით, დამატებით, მოწესრიგდება საზედამხედველო სუბიექტების ლიკვიდაციის ხარჯების დაფარვის საკითხი, როდესაც ამ სუბიექტს თავად არ გააჩნია საკმარისი თანხა. გამომდინარე კანონპროექტების მომზადების აუცილებლობა გამოწვეულია „მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებითა და ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის და მისი აღსრულებისათვის შესაბამისი მექანიზმების შექმნის მიზნით. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება განპირობებულია, მათ შორის, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით (კერძოდ, აღნიშნული შეთანხმების დანართი XV – 2006/48/EC დირექტივა, რომელიც შემდგომში ჩანაცვლებულ იქნა 2013/36/EU დირექტივით). **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**		

107.	**„ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია ეროვნული ბანკისთვის ბანკნოტების და მონეტების მსგავსად ციფრული ლარის გამოშვების უფლების მინიჭების საჭიროებით. **(ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი)**	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
108.	**„სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	1. საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება რომ „ეროვნული სადაზვერვო პროგრამა“ წარმოადგენს ეროვნული დონის კონცეპტუალურ დოკუმენტს. 2. დაზვერვის სისტემის სუბიექტების საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს დაემატება აგრეთვე ქვეყნის „ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ“ საფრთხეებთან დაკავშირებულ საკითხებზე უცხო ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა. 3. სადაზვერვო დაწესებულებებისთვის შესაბამისი დახმარების გაწევის ვალდებულება ექნება არა მხოლოდ „სამთავრობო დაწესებულებებს“, არამედ ყველა „საჯარო დაწესებულებას“. ამასთან, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი იქნება აღნიშნული საკითხები მოაწესრიგოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით. **(ავტორი: საქართველოს დაზვერვის სამსახური)**	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
109.	**„საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან	1. ტექნიკურად დაიხვეწება და „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 9.4. მუხლთან თანხვედრაში მოვა დაზვერვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხები. 2. მოწესრიგდება საქართველოს დაზვერვის სამსახურის ანგარიშვალდებულების და მის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების საკითხები. 3. დაიხვეწება სამსახურის გავლის საკითხები, რომლებიც უკავშირდება - სამსახურში მიღებას, წოდების მინიჭებას და სამსახურიდან დათხოვნას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	ერთად)	**(ავტორი: საქართველოს დაზვერვის სამსახური)**		
110.	**„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიხედვით „ეროვნული სადაზვერვო პროგრამა“ წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალურ დოკუმენტს (ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას). კანონში მკაფიოდ განისაზღვრება აგრეთვე აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებაზე უფლებამოსილი ორგანო/თანამდებობის პირი. **(ავტორი: საქართველოს დაზვერვის სამსახური)**	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
111.	**„საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საქართველოს დაზვერვის სამსახურს ეძლევა უფლება, თავის სამართლებრივ აქტებზე, ბლანკებზე, ბეჭდებზე, შტამპებზე, სხდომათა დარბაზებში და თანამდებობის პირთა სამუშაო ოთახებში გამოიყენოს სრული სახით სახელმწიფო გერბი. **(ავტორი: საქართველოს დაზვერვის სამსახური)**	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
112.	**„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში**	სწორდება კანონში არსებული ტექნიკური ხარვეზი და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნებისათვის, დაზვერვის სამსახურიდან დათხოვნილ პირებს წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლებათ აგრეთვე სხვა უწყებაში სპეციალური და სამხედრო წოდებით ნამსახური წლები.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	**(ავტორი: საქართველოს დაზვერვის სამსახური)**		